პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

შაბათი, 5 სექტემბერი 1936 წ.
№ 206 (4705)

ფასი 10 კაპ.

საქართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

— კომუნიზმის მთლიანი და ერთადერთი პარტია („პრავდის“ მოწინავე).
— სწავლა დაიწყო (მეთაური).
— წითელ არმიას ბოლშევიკური ცვლა.
— პ. აფხაძე — საბჭოთა სკოლა ახალ ეტაპზე.
— საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში.
— საბჭოთა ტერიტორიისათვის სროლის ატეხისა და საბჭოთა საზღვრების დარღვევის ახალი შემთხვევები.
— მდგომარეობა ესპანეთში.
— რუმინეთის საგარეო პოლიტიკა.
— ბრიუსელი და ჟენევა.
— საბჭოთა სამხედრო დელეგაცია საფრანგეთში.

კომუნიზმის მთლიანი და ერთადერთი პარტია

შვილ, კაპიტალისტურ სამყაროსთან მკაცრ ბრძოლებში იბადებოდა საბჭოთა სახელმწიფო. მკაცრ ბრძოლებში დაიცვა სოციალისტურმა ქვეყანამ თავისი უფლება სიცოცხლისა და აყვავებისა. მრისხანენი იყვნენ კაპიტალიზმის ძალები: იგი ნორჩი სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებდა და მოქმედებს ჯაშუშების ყუმბარებითა და ციანისუმბების შხამით, მავნებლობითა და დივერსიებით, მახვილითა და მაქორთით, ტყვიის ბანდიტთა და კალმის ბანდიტთა ხელით.

და სოციალიზმმა მაინც გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში! გაიმარჯვა უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სოციალიზმის ძალთა სათავეში, საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის სათავეში იდგა ლენინ-სტალინის მთლიანი, შემჭიდროვებული, მონოლიტური პარტია. პარტია, რომელმაც განასახიერა და შეადუღა საუკეთესო თვისებანი მუშათა კლასისა, რომელსაც ისტორიამ წილად არგუნა ბურჟუაზიის მესაფლავეობა, კაპიტალიზმის მესაფლავედ გახდომა.

კაპიტალიზმთან სოციალიზმის ბრძოლებში სწრაფად და მკაფიოდ გამომჟღავნდა, რომ ჩვენი პარტია — ერთადერთი პარტიაა, რომელიც იბრძვის მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის. მალე გახუნდა სალებავები ფსევდო-სოციალისტური პარტიების — მენშევიკების, ესერების, ანარქისტების დროშებზე, რომლებსაც თავი მოჰქონდათ ხალხის დამცველებად, ხოლო სინამდვილეში ყოველთვის და ყველგან ასრულებდნენ მშრომელთა მასებში კაპიტალიზმის აგენტურის მისიას. სოციალიზმის დიდი გამარჯვებანი, ჩაწერილნი სტალინურ კონსტიტუციაში, მუშათა კლასმა მოიპოვა ბრძოლებში არა მარტო კაპიტალიზმის აშკარა ძალების წინააღმდეგ, არამედ მისი შენიღბული მენშევიკურ-ესერული აგენტურის წინააღმდეგაც. იგი, ეს აგენტურა, გააფთრებით იბრძოდა იმისათვის, რომ მოეხდინა კაპიტალიზმის რესტავრაცია ჩვენს ქვეყანაში. კაპიტალის ნოქრები აღმოჩნდნენ არა ნაკლებ საზიზღარნი, თუ მეტი არა, ვიდრე მათი პატრონები.

ექსპლოატატორთა კლასების მოსპობით პროლეტარიატის დიქტატურამ მოსპო კაპიტალიზმის რესტავრაციის ყველა პირობა და საბჭოთა კავშირის ხალხები თავიანთი ბელადის ამხანაგ სტალინის პირით აცხადებენ: „ჩვენში არ არიან პარტიები, რომლებიც თავიანთ თავს ერთმანეთს უპირისპირებენ, სწორედ ისევე, როგორც არ არიან ჩვენში კაპიტალისტთა კლასი და კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებული მუშათა კლასი, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან“.

სსრ კავშირის ხალხები მგზნებარე სიძულვილით არიან გამსჭვალული კაპიტალისტური პარტიებისადმი, მათ შორის იმ პარტიებისადმიც, რომლებიც სოციალისტურ სამოსელში იმყოფებიან. ამ სიძულვილის ძალა უდიდესია, ისე როგორც უდიდესია ხალხის სიყვარული საყვარელი ბოლშევიკთა პარტიისადმი, რომელმაც ქვეყანა და ხალხი სასიხარულო ცხოვრებამდე მიიყვანა. საბჭოთა კავშირში მთლიანი და ერთადერთი პარტია იყო, არის და იქნება ბოლშევიკთა პარტია, ლენინ-სტალინის პარტია, და ეს მე-126 მუხლის დიდი სიტყვებით არის ჩაწერილი გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციაში:

„...ყველაზე უფრო აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის რიგებიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან ერთიანდებიან სსრ კავშირის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა მოწინავე რაზმს მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და რომელიც ხელმძღვანელი ბირთვია მშრომელთა ყველა ორგანიზაციისა, როგორც საზოგადოებრივის, ისე სახელმწიფოებრივისა“.

აი რატომ არის, რომ ასე გაცოფებით სძულთ ჩვენი პარტია კაპიტალისტური სამყაროს ყველა მგლებსა და გველებს. მათ იციან, რომ საბჭოთა კავშირის ძალა, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს ლენინ-სტალინის პარტიის რკინისებურ მთლიანობაში და ჩვენი პარტიის გარშემო მთელი საბჭოთა ხალხის შემჭიდროვებაში. უდიდეს ძალღონეს ხარჯავს კაპიტალისტური მსოფლიო იმისათვის, რომ როგორმე დაასუსტოს ბოლშევიკთა პარტია, შეარყიოს მისი მთლიანობა. კაპიტალიზმი ცდილობს შექმნას თავისი აგენტურა ბოლშევიკთა პარტიის შიგნით, რათა შეასუსტოს მისი ძლიერება და მისი გავლენა მასებზე. კაპიტალიზმის ამ აგენტურას წარმოადგენდნენ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და მათი კომპანია.

მათი ცენტრალური იდეა იყო: ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი შეუძლებელია. ამ იდეას მრავალი წლის განმავლობაში ქადაგებდა ტროცკი და კომპანია. „უიმედო ფიქრია, — სწერდა ოდესღაც ტროცკი მრავალი წლის წინათ, — რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი შესძლებს გაუძლოს კონსერვატიული ევროპის წინაშე“. ასეთი თეზისებით ჰქადაგებდა ტროცკი თავის ძირითად მიზანს: კაპიტალიზმის რესტავრაციას.

კაპიტალიზმს, დღევანდლამდე უნდოდა მიეყვანა საბჭოთა ქვეყანა ტროცკისტულ - ზინოვიევურ ბანდებს. და მათი საქმიანობის მთელი ხაზი, მთელი მათი ზრახვები და მოქმედებანი მიმართული იყო კაპიტალიზმის გამარჯვების მომზადებისაკენ. ეს შეიძლება დავინახოთ მრავალი წლის მანძილზე სოციალისტური მშენებლობის უკლებლივ ყველა უბანზე. საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მტკიცე საძირკველს უქმნიდა სოციალისტურ ეკონომიკას. ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდა ცოფმორეული გამოდიოდა სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის წინააღმდეგ. გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციამ კაპიტალიზმს საბოლოოდ გამოაცალა ნიადაგი ჩვენს ქვეყანაში. ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდა გააფთრებით იბრძოდა კოლექტივიზაციის გენიალური ლენინურ-სტალინური გეგმის წინააღმდეგ. ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა და კომპანიამ გააჩაღეს ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის დიქტატურისათვის.

ბოლშევიკთა პარტიამ დიდი ხანია გამოყარა თავისი რიგებიდან ტროცკი და მისი დამქაშები. ისინი განაგრძობდნენ თავიანთ ბინძურ მუშაობას და საერთაშორისო კონტრრევოლუციის მოწინავე რაზმად გადაიქცნენ. როცა კაპიტალისტებს და მათს აგენტურას, მათ შორის ტროცკისტულ-ზინოვიევურ აგენტურასაც, დაემსხვრათ სსრ კავშირის ეკონომიკაში კაპიტალიზმის გამარჯვების ყოველგვარი იმედი, გესტაპოს აგენტმა ტროცკიმ წამოაყენა სსრ კავშირის ომით დამარცხების მოწოდება. რას გამოხატავს ეს ლოზუნგი? იგი გამოხატავს სურვილს, რომ ჩვენი სამშობლო გერმანიის კაპიტალიზმის კოლონიად გადაიქცეს, რომ იგი იმპერიალისტებს გასაძარცვავად და სათრეველად მიეცეს.

თავისთავად ცხადია, ასეთ მოწოდებას არ შეეძლო იპოვოს ჩვენს ქვეყანაში მომხრეთა თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვანი რიცხვი. ტროცკის და ტროცკიზმს საბჭოთა ქვეყანაში არასოდეს არ ჰქონიათ და არც აქვთ არავითარი გავლენა მასებში. მათი მომხრეები — კონტრრევოლუციურ გადაგვარებულთა მიკროსკოპულად მცირე ჯგუფია. ამ ერთ მუჭა ხალხზე ლაპარაკიც არ ღირდა. მაგრამ თავიანთ გააფთრებაში დაქირავებული ტროცკისტები და ფაშიზმის მოკავშირეები გადავიდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მომზადებაზე. მათ მოჰკლეს სერგეი მირონის-ძე კიროვი და უმიზნებდნენ მთელი ჩაგრული კაცობრიობის საყვარელ დიდ სტალინს და მის თანამებრძოლებს.

ამით ისინი უმიზნებდნენ ბოლშევიკთა პარტიის ტვინსა და გულს, საბჭოთა კავშირის, ახალი კაცობრიობის, კომუნიზმის ტვინსა და გულს. და როცა გამოაშკარავდა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის ეს საშინელი ბოროტმოქმედებანი — ჩვენი ხალხის ერთსულოვანმა ხმამ მოითხოვა: გავსრისოთ, აღვგავოთ მიწის პირიდან კაპიტალიზმის გაცოფებული ქოფაკების ეს ხროვა.

ის გააფთრებული ღმუილი, რომელიც ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის თექვსმეტი ბანდიტის დახვრეტის გამო ფაშისტურმა პრესამ ასტეხა, მოწმობს, თუ როგორ მტკიცედ დაუნათესავდნენ ეს ბანდიტები ფაშიზმს, რომელმაც ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის დახვრეტილ მონაწილეთა სახით უძვირფასესი თანამშრომლები დაჰკარგა.

ტროცკის თანამოძმეთა გააფთრებულ ღმუილში აშკარად მოისმის იმ მენშევიკთა ხმები, რომლებსაც მეორე ინტერნაციონალი აერთიანებს. საბჭოთა კავშირის მთავრობამ ხალხის სახელით უკვე ღირსეული პასუხი გასცა მეორე ინტერნაციონალის ბელადების ცდას აეცდინათ ტროცკისტ-ზინოვიეველ ბანდიტებისათვის მართმსაჯულების დამსჯელი ხელი. მაგრამ ტერორისტ ტროცკისთან მეორე ინტერნაციონალის ბელადთა სოლიდარობის გოდება არა სწყდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეები, რომლებიც ჯამბაზობენ სიტყვებით მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის შესახებ, ფაქტიურად ამყარებენ მთლიან ფრონტს ბატონ გებელსის პრესასთან, გესტაპოსთან, გერმანიის ფაშიზმთან. არსებითად ბატონი დე ბრუკერები, სიტრინები სათავეში უდგანან ბურჟუაზიული პრესის მთელ ანტისაბჭოთა კამპანიას. ასე და მხოლოდ ასე შეაფასებს მათს საქციელს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი.

საბჭოთა კავშირის ხალხები ყველა დასკვნას გამოიყვანენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის პროცესიდან და მეორე ინტერნაციონალის მიერ ამ მკვლელთა დაცვის ტაქტიკიდან. სსრ კავშირის ხალხებისათვის ეს იქნება კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ კომუნისტები — ბოლშევიკები, რომლებსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობს, წარმოადგენენ კომუნიზმის ერთადერთ პარტიას, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა კაპიტალიზმის მთელი სისაძაგლისა და სიდამპლისაგან გამოთავისუფლებისაკენ, სოციალიზმის აყვავებისაკენ. საბჭოთა კავშირის ხალხები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან თავიანთი მთლიანი და ერთადერთი პარტიის გარშემო, იმ პარტიის გარშემო, რომელიც ახალი კაცობრიობის წარმომადგენელია, თავიანთი ბელადის, მასწავლებლის, მამის, მეგობრის ამხანაგ სტალინის გარშემო, რომელშიაც შეერთებულია კომუნიზმის ტვინი და გული.

„პრავდის“ მოწინავე, 4/IX

გასწორება

ჩვენი გაზეთის ა.-წ. 1 სექტემბრის ნომრის მე-3 გვერდზე „პრავდის“ 31 აგვისტოს სარედაქციო სტატიაში „ტერორის ფაშისტური აგენტები თავს იმართლებენ“ მეორე აბზაცის ბოლო ფრაზა უნდა იკითხებოდეს ასე: „მე კვლავ ცოცხალი ვარ“, — მოგვაგონებს ეს ბანდიტი და, უწოდებს რა ტროცკისტ მკვლელებს — გესტაპოს აგენტებს — გამამართლებელ „დანაშაულს“, ტროცკი აცხადებს: „ჩემი მოძღვრება არის... [illegible]“.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

მოსკოვი, 3 სექტემბერი. ა.-წ. 3 სექტემბერს იაპონიის საქმეთა რწმუნებულმა ბ. საკომ ინახულა აღმოსავლეთის II განყოფილების გამგე ამხ. ბ. ი. კოზლოვსკი და თავისი მთავრობის დავალებით პროტესტი განაცხადა იმის გამო, თითქოს დუნინის რაიონში ადგილი ჰქონოდეს საბჭოთა მესაზღვრეების მიერ სროლის უკანონოდ ატეხას და საზღვრის დარღვევას. ბ. საკოს განცხადებით 28 აგვისტოს დუნინის რაიონში მანჯურიის ტერიტორიაზე საბჭოთა ტერიტორიიდან დავარდა 9 ტყვია. იმავე დღეს, იმავე რაიონში, თითქოს საბჭოთა ტყვიამფრქვევები დაეშინოთ იაპონელ მესაზღვრეებისთვის, რომლებიც სოფელ შინლუნტუნში იმყოფებიან, რის შედეგადაც დაიჭრა ერთი მანჯური. იქვე, იმავე 28 აგვისტოს, თითქოს საზღვარი დაერღვიოს საბჭოთა თვითმფრინავს, რომელიც ხსენებული სოფლის შინლუნტუნის თავზე დაფრინავდა.

ამხ. კოზლოვსკიმ გადაჭრით უკუაგდო იაპონიის მთავრობის პროტესტი და დასძინა, რომ მან ჯერ კიდევ 27 აგვისტოს განუცხადა პროტესტი ბ. საკოს იმის გამო, რომ იაპონელ-მანჯურმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს ჩვენს მესაზღვრეებს, რომლებიც ცხენებს წყალს ასმევდნენ ჩვენს ტერიტორიაზე და მაშინვე მოითხოვა საქმის სასწრაფოდ გამოძიება და დამნაშავეთა მიცემა პასუხისგებაში. ამხ. კოზლოვსკიმ შემდეგ მოაგონა ბ. საკოს, რომ უკანასკნელის მიერ 29 აგვისტოს იაპონიის მთავრობის სახელით განცხადებული იმ კონტრპროტესტის პასუხად, რომელიც შეიცავდა მტკიცებას, თითქოს ინციდენტი მომხდარიყოს მანჯურიის ტერიტორიაზე და ჩვენს მესაზღვრეებს მანჯურიის ტერიტორიაზე დაეტოვებინოთ ერთი მოკლული წითელარმიელი, — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა კატეგორიულად უკუაგდო ეს პროტესტი, როგორც სრულიად უმართებულო ცნობებზე დამყარებული. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ყალბია ცნობა, თითქოს ჩვენ მანჯურიის ტერიტორიაზე დაგვეტოვებინოს მოკლული წითელარმიელი და განმეორებით განაცხადა ენერგიული პროტესტი იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა იმ უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია სასაზღვრო ინციდენტების შექმნისაკენ.

შემდეგ ამხ. კოზლოვსკიმ მიუთითა, რომ სავსებით ზუსტი და შემოწმებული ცნობების საფუძველზე მას შეუძლია მთელი სიმტკიცით განაცხადოს, რომ იაპონიის მთავრობის მიერ მიღებული ცნობები ვითომ 28 აგვისტოს დუნინის რაიონში საბჭოთა მესაზღვრეებს დაერღვიოთ საზღვარი, წარმოადგენს ისეთსავე ჭორს, როგორც იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა ვერსია 26 აგვისტოს ინციდენტის შესახებ. ამასთან ერთად ამხ. კოზლოვსკიმ ბ. საკოს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ იაპონელ-მანჯურმა ჯარისკაცებმა კვლავ აუტეხეს სროლა ჩვენს მესაზღვრეებს ა.-წ. 31 აგვისტოს, 13 საათზე, როცა ბეზიმიანის მაღლობებიდან, რომლებიც მანჯურიის სოფელ ტაუზანგოუს (დაუშაგოუს) სამხრეთ-დასავლეთით ერთი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, სროლა აუტეხეს ჩვენს ტერიტორიაზე მყოფ საბჭოთა მესაზღვრეებს.

შემდეგ ამხ. კოზლოვსკიმ განუცხადა ბ. საკოს, რომ 26 აგვისტოს ინციდენტის შექმნა იაპონიის ხელისუფალთა მიერ მანჯურიაში, მათ მიერ ყალბი ცნობების შეუწყვეტელი ფაბრიკაცია ჩვენი მხრით სროლის შესახებ და ცდა — პასუხისმგებლობა მდგომარეობის შესაძლო გამწვავებისათვის საბჭოთა მთავრობას დააკისრონ — გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ზოგიერთი იაპონელი სამხედრო პირი მანჯურიაში ფიქრობდეს დაფაროს და წინასწარ გაამართლოს ის პროვოკაციული ინციდენტები, რომლებსაც ისინი ამზადებენ და რომ ჩვენ მივაქცევთ ამას იაპონიის მთავრობის სერიოზულ ყურადღებას და მთელ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ მას. საბჭოთა მთავრობას მშვიდობიანობის საქმისათვის საშიშრად და შეუწყნარებლად მიაჩნია ახლანდელი მდგომარეობის განგრძობა საზღვარზე და ამიტომ წინადადებას იძლევა შეიქმნას საბჭოთა კავშირ-იაპონია-მანჯურიის ის შერეული კომისია, რომლის შექმნაზე, ა.-წ. 30 იანვრის ინციდენტთან დაკავშირებით, იაპონიის მთავრობამ 14 თებერვალს ოფიციალურად მისცა თავისი თანხმობა. ამ კომისიას, რომლის შექმნაც მხოლოდ-მხოლოდ იაპონიის მთავრობის მიზეზით ფერხდება, აგრეთვე უნდა დაეკისროს ყველა უკანასკნელი ინციდენტის გამოძიებაც.

ამხ. კოზლოვსკიმ ბ. საკოს ყურადღება მიაქცია იაპონელ-მანჯურთა მიერ ჩვენი საზღვრის მთელ რიგ დარღვევას, რომლებსაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა აგრეთვე საზღვრის სხვა უბნებზედაც, რის გამო საბჭოთა მთავრობამ უკვე დაავალა ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს ტოკიოში განაცხადოს პროტესტი. (საქტს).

◆

საბჭოთა ტერიტორიისათვის სროლის ატეხისა და საბჭოთა საზღვრების დარღვევის ახალი შემთხვევები

ხაბაროვსკი, 2 სექტემბერი. მიღებულია ცნობა იაპონია-მანჯურიის ნაწილების მხრით საბჭოთა ტერიტორიისათვის სროლის ატეხის მთელი რიგი ახალი შემთხვევებისა და იაპონია-მანჯურიის თვითმფრინავების მიერ სსრ კავშირის საზღვრების დარღვევის შესახებ.

20 აგვისტოს, საბჭოთა 5 მოქალაქეს სოფ. სოიუზნოედან, მათ შორის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბარანოვს, რომლებიც ზემოაღნიშნულ სოფელ სოიუზნოეს მეზობელი სოფლიდან ნავით ბრუნდებოდნენ მდ. ამურზე და 15 მეტრით იყვნენ დაშორებული საბჭოთა სანაპიროს, ორჯერ აუტეხს სროლა მანჯურიის სანაპიროდან: პირველად ამჯერ ესროლეს შაშხანა, მეორედ ტყვიამფრქვევი სამრიგი სროლით.

23 აგვისტოს, 15 საათსა და 0 წუთზე იაპონიის მზვერავის ტიპის თვითმფრინავმა ათასი მეტრის სიმაღლეზე დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი სოფელ პავლოვო-ფედოროვკიდან სამხრეთ-დასავლეთით 16 კილომეტრზე.

29 აგვისტოს მანჯურ ჯარისკაცთა ჯგუფმა 26 კაცის რაოდენობით, რომელიც გამოჩნდა ამურის მანჯურიის სანაპიროზე საბჭოთა სოფელ ტულოვჩიხის პირდაპირ, ორჯერ ისროლა შაშხანა ხსენებული სოფლის მიმართულებით. ტყვიები დაეცა სოფელში, მაგრამ ზიანი არ მიუყენებია.

1 სექტემბერს, 16 საათზე მანჯურიის სოფელ დამანიდან უსურისაკენ გასცურდა ნავი 5 შეიარაღებული მანჯური ჯარისკაცით, რომელთაც გადმოლახეს საზღვარი და 70 მეტრით მოუახლოვდნენ სსრ კავშირის კუთვნილ კუნძულს; აქედან მათ ერთხელ ისროლეს თოფი კუნძულისაკენ, შემდეგ კი გაბრუნდნენ მანჯურიის მხარეს. ამ დროს მანჯურიის უსურის სანაპიროზე იმყოფებოდა 18 შეიარაღებული მანჯური ჯარისკაცი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ნავის მოქმედებას.

1 სექტემბერს, 15 საათზე მზვერავი ტიპის მანჯურთა თვითმფრინავმა, № 146-მა მანჯურული განმასხვავებელი ნიშნების მქონემ, დაარღვია საზღვარი, გადმოფრინდა რა ამურზე და გადაუარა ქ. ბლაგოვეშჩენსკს 200 მეტრის სიმაღლეზე. იფრინა რა ნახევარ კილომეტრამდე სსრ კავშირის ტერიტორიაზე, თვითმფრინავი გაბრუნდა მანჯურიის ტერიტორიაზე ქალაქ სახალიანის მიმართულებით. ამის შემდეგ თვითმფრინავი კვლავ გადმოფრინდა სსრ კავშირის საზღვარზე, გაიფრინა ქალაქ ბლაგოვეშჩენსკის დასავლეთი ნაწილი ნახევარ კილომეტრამდე, შემდეგ კი წავიდა დასაშვებად აეროდრომზე ქალაქ სახალიანში. (საქტს).

რუმინეთის საგარეო პოლიტიკა

ბუქარესტი, 3 სექტემბერი. რუმინეთის სააგენტოს გადმოცემით, პრესის წარმომადგენელთა მიღების დროს საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონესკუმ განაცხადა:

„რუმინეთის საგარეო პოლიტიკა უცვლელი რჩება. საფრანგეთთან კავშირი რჩება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ბაზად.

მცირე ანტანტის ქვეყნებთან კავშირი ჩვენი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ის კავშირი, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს, შეიძლება მხოლოდ დღითიდღე განმტკიცდეს, რამდენადაც ჩვენი ქვეყნების შეერთებული ძალით მოქმედება მოწოდებულია დიდი როლი ითამაშოს მშვიდობიანობისა და მათი ინტერესების დაცვის საქმეში.

ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ და განვავითაროთ აქტიური და მეგობრული თანამშრომლობის ურთიერთობანი პოლონეთთან. მასთან ჩვენ დაკავშირებული ვართ კავშირის შესახებ დადებული ხელშეკრულებით, რომელიც მრავალფეროვან საერთო ინტერესთა საფუძველზე წარმოიშვა.

ჩვენი მეგობრული ურთიერთობანი ბალკანეთის ანტანტის ქვეყნებთან აგრეთვე უნდა განვითარდნენ უფრო ინტენსიური თანამშრომლობის მხრით. ჩემი აზრი, აგრეთვე მიპყრობილია იმ დიდი სახელმწიფოებისაკენ, რომლებთანაც ჩვენ არა ვართ დაკავშირებული ხელშეკრულებებით კავშირის შესახებ, მაგრამ რომლებთანაც გვაახლოვებს მსოფლიო ომის პერიოდის ტანჯვის დღეებისა და დიდების საერთო მოგონებანი.

ჩვენ გვსურს შემდეგაც განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობანი დიდ ბრიტანეთთან ორივე ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. საერთო წარმოშობა და მსოფლიო ომის მოგონებანი გვაკავშირებენ ჩვენ იტალიასთან. ორივე ქვეყნის ეკონომიური ინტერესები, რუმინეთის ხალხის სიმპატიები იტალიისადმი აძლიერებენ ამ კავშირს.

ჩვენ მომავალშიაც ვიქონიებთ და განვავითარებთ კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

ბოლოს, ჩვენ ვეცდებით საუკეთესო ურთიერთობა ვიქონიოთ ჩვენს მეზობლებთან, აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფოსთან, მათ შორის გერმანიასთან, რომელთანაც ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი ეკონომიური ინტერესებზე დამყარებული კარგი ურთიერთობა. ვრჩებით რა ერთა ლიგის წესდების ერთგულნი, ჩვენ განვაგრძობთ აქტიურ თანამშრომლობას ჟენევის დიდ დაწესებულებასთან (საქტს).

◆

◇ ◇ ◇

მდგომარეობა ესპანეთში

კორდოვა გარშემორტყმულია მთავრობის ჯარებით

ლონდონი, 3 სექტემბერი. როგორც როიტერის სააგენტოს ბარსელონიდან ატყობინებენ, მთავრობის ჯარებმა დაიკავეს მონისუნი კასპეს რაიონში. მთავრობის ჯარები მთლიანად გარს შემოერტყნენ კორდოვას. ახლა ქალაქი ვერ ღებულობს სურსათ-სანოვაგეს და მოკლებულია წყალს. რესპუბლიკელებმა დაიკავეს ეხარასიერას ელექტროსადგური, რომელიც ელექტრო ენერგიას აწოდებდა გრენადას [illegible] (საქტს).

ესტრემადურის ფრონტზე

ესტრემადურის (ბადახოსის და კასერესის პროვინციები) ფრონტზე ჩამოაგდეს მეამბოხეთა თვითმფრინავი, რომელსაც იტალიელი მფრინავი მართავდა. მფრინავი ცდილობდა ქრთამით დაეხსნა თავი, მის დამჭერ გლეხებს მან 5.000 პეზეტი შესთავაზა. გლეხებმა ამაზე უარი სთქვეს და მფრინავმა თავი მოიკლა. მას აღმოაჩნდა რომის მცხოვრებ ერნესტო მონიკოს სახელზე გაცემული დოკუმენტები (საქტს).

„ესპანეთის ხალხი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს“

პარიზი, 2 სექტემბერი. კომუნისტმა დეპუტატმა ქალმა დოლორეს იბარურიმ (პასიონარია), რომელიც პარიზში ჩამოვიდა, როგორც ესპანეთის დელეგაციის მონაწილე, ჟურნალისტთა შეკითხვებზე განაცხადა:

„მიუხედავად იარაღის ნაკლებობისა, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, ვინაიდან ესპანელმა ხალხმა იცის, რომ იგი სამართლიანი საქმისათვის იბრძვის. ესპანელი ხალხი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს. ჩვენ დემოკრატიისათვის ვიბრძვით, ესპანეთის კომპარტია იბრძვის ფაშიზმის მოსასპობად. საფრანგეთის ხალხი და მსოფლიოს მთელი ხალხები მიხვდებიან ამას (საქტს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

4 სექტემბერს „პრავდამ“ ერთ გვერდზე მეტი დაუთმო ქართულ საბჭოურ ლიტერატურას. „პრავდა“ ათავსებს ამხ. თათარიშვილის დიდ სტატიას სათაურით: „ხალხთა მეგობრობის პოეზია“, რომელშიაც ავტორი იძლევა ქართული პოეზიის ძირითად მიმართულებათა დახასიათებას.

„პრავდა“ ათავსებს აგრეთვე შალვა დადიანის სტატიას ქართული დრამატურგიის შესახებ, ვახტანგ კოტეტიშვილის სტატიას ხალხური შემოქმედების მრავალფეროვანი ელემენტების დიდი როლის შესახებ ქართული ლიტერატურის განვითარებაში. კონსტანტინე ლორთქიფანიძის სტატია მოგვითხრობს საქართველოს ახალ საკოლმეურნეო სოფელზე, რომელიც ასახულია ქართულ ლიტერატურაში. შენიშვნაში — „პუშკინი საქართველოში“ — ტიციან ტაბიძე მოგვითხრობს პუშკინის თარგმანთა შესახებ ქართულსა, [illegible] აფხაზურსა და ოსურ ენებზე. ნიკოლო მიწიშვილი სტატიაში სათაურით „სტალინის ეპოქის მონუმენტი“ მოგვითხრობს, თუ როგორ ამუშავებენ ქართველი პოეტები ახალ თემას — „კოლხიდას“.

„პრავდის“ მიერ დაბეჭდილი სტატიები გვიჩვენებენ, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა ქართული პოეზიის განვითარების საქმეში დიდი სტალინის სახემ. ქართულ პოეზიაში ისე ასახულია საქართველოს მშრომელთა სიყვარული ჩვენი ქვეყნის დიდი მესაჭის — სტალინისადმი, როგორც სარკეში.

„პრავდა“ ათავსებს ბორის ბრიკის თარგმანს ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსს „ფიქრი ბელადზე“, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის პოემის „კაკო ყაჩაღის“ ნაწყვეტს. პირველი გვერდის კუთხეში „პრავდა“ ათავსებს საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პორტ-

◇

უცხოეთის ქრონიკა

○ ავილის პროვინციაში [illegible] 100-ზე მეტი [illegible] შევიდა ფაშისტ მეამბოხეთა ჯარის რიგებში.

○ სამ სექტემბერს მიუნხენში „სამკურნალოდ“ ჩაფრინდა თვითმფრინავით უნგრეთის პრემიერ-მინისტრი გემბეში.

○ ლოიდ-ჯორჯი თავის თანხლებლებით ჩავიდა მიუნხენში. „ექსჩეინჯ ტელეგრაფის“ ცნობით, ლოიდ-ჯორჯმა და ლორდმა ლონდონდერიმ თანხმობა განაცხადეს მიწვევაზე — დაესწრონ გერმანიის ფაშისტურ პარტიის ყრილობას ნიურნბერგში.

○ მადრიდიდან მიღებული ცნობებით, მეამბოხეთა წინააღმდეგ მოხალისე არმიის ორგანიზაცია კარგად მიდის. სექტემბერში რესპუბლიკა მიიღებს 10 ათას მოხალისე ჯარისკაცს.

○ „დეილი ჰერალდის“ ცნობით, კადიქსში ჩავიდა გერმანიის გემი, რომელმაც მეამბოხეებისათვის ჩაიტანა 28 ყუმბარმზიდი.

○ რომში ჩავიდა ბულგარეთის მეფე და „კერძო ვიზიტი“ გაუკეთა მუსოლინის.

○ ამერიკელი მფრინავები მერილი და რიჩმენი, რომლებიც ძირსდაუშვებლად გადაფრინავდნენ ნიუ-იორკიდან ლონდონამდე ატლანტის ოკეანეზე, იძულებული გახდნენ დაეშვებულიყვნენ კარმარტენში. თვითმფრინავი და მფრინავები არ დაზიანებულან.

ვახტანგ ზუბიაშვილი
26 კომუნარის სახ. მექანიკური ქარხნის სტახანოველი ახალწვეული

სწავლა დაიწყო

ორდენოსან საქართველოს ყველა სკოლაში, გარდა ტფილისის სკოლებისა, უკვე დაირეკა პირველი ზარი. სწავლა დაიწყო. 10 სექტემბერს ბავშვთა საამური ჟრიამულით და ბეჯითი სახეებით აივსება ტფილისის სკოლებიც.

ახლა შედარებით უკეთ შეხვდნენ საქართველოს სკოლები ახალ სასწავლო წელს, ვიდრე სხვა დროს. ეს გასაგებიც არის: პარტიამ და ხელისუფლებამ სკოლების ნორმალური მუშაობისათვის დიდი ხანია შექმნეს სავსებით ნორმალური პირობები, ხოლო განათლების ორგანოებმა რამდენადმე უკვე გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა და ახალი თაობის აღზრდაზე ზრუნვა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში პარტიამ და მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი გადამწყვეტი დადგენილებანი საბჭოთა სკოლის მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის. საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 5 სექტემბრის ისტორიულმა დადგენილებამ დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ, რომლის 5 წლისთავიც დღეს სრულდება, ამ მხრივ უდიდესი როლი ითამაშა. ამ დადგენილებით, რომელიც მიღებულ იქნა სტალინის ინიციატივით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დაჰგმო „სკოლის კვდომის“ ანტილენინური, „მემარცხენე“ თეორია და პრაქტიკა და გამოააშკარავა სკოლის ძირითადი ნაკლი, რაც იმაში გამოიხატა, რომ „სწავლება სკოლაში არ იძლევა საერთო განათლებას, საკმაო ცოდნას და არადამაკმაყოფილებლად სწყვეტს ტექნიკუმებისა და უმაღლესი სკოლისათვის სავსებით მცოდნე და ისეთ პირთა მომზადების ამოცანას, რომლებსაც კარგად აქვთ შეთვისებული მეცნიერებათა საფუძვლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, დედა-ენა, გეოგრაფია და სხვ.)“.

პარტიის და მთავრობის შემდგომმა სხვა დადგენილებებმა, მიმართულმა საბჭოთა სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიურმა, მამობრივმა ზრუნვამ სოციალიზმის ნორჩი თაობის აღზრდაზე, სტალინურმა ზრუნვამ საბჭოთა სახალხო მასწავლებელზე, უკვე გამოიღო უდიდესი ნაყოფი — სკოლა სწორ გზას დაადგა.

პარტიამ გააცამტვერა ბრიყვული თეორია „სკოლის კვდომისა“, მასწავლებლის როლის მემარჯვენე ოპორტუნისტული შეუფასებლობისა. პარტიამ ნიღაბი ახადა ცრუ მეცნიერებას — ეგრეთწოდებულ პედოლოგიას, რომელიც სკოლის დარგში მავნებელთა და განსახკომების ზოგი მუშაკების წყალობით წლების მანძილზე ბოგინობდა და სკოლიდან სდევნიდა აღზრდის მთავარ ფაქტორს — პედაგოგს და პედაგოგიურ მეცნიერებას. ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. 4 ივლისის დადგენილებით პედაგოგი და პედაგოგიკა აღდგენილ იქნენ თავის უფლებებში. მაგრამ ეს დადგენილება მთლიანად და ბოლომდე ყველგან როდია შესრულებული. კიდევ მოიპოვებიან ადამიანები მახინჯი პედოლოგიური გატაცებით, რომლებიც ზიანს აყენებენ საბჭოთა სკოლას. ისინი ან სწორ გზაზე უნდა დავაყენოთ, ანდა სულ ჩამოვაშოროთ აღზრდის საქმეს. საჭიროა პედაგოგი და პედაგოგიკა ყველგან მთლიანად და ბოლომდე აღვადგინოთ თავის კანონიერ უფლებებში.

პარტიის და მთავრობის ზრუნვის შედეგად სკოლებში გაუმჯობესდა სწავლის ორგანიზაცია, შემოღებულია ახალი, სტაბილური სასწავლო გეგმა. ეს გეგმა მიზნად ისახავს ბოლომდე მიიყვანოს სკოლის ძირითადი ნაკლის აღმოფხვრის კარგად დაწყებული საქმე და მოზარდი თაობა შეაიარაღოს ღრმა მეცნიერული ცოდნით, საერთო განათლებით. ამ მიზნით გეგმა მათემატიკასა და ბუნების მეტყველებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისტორიის, დედა-ენისა და ლიტერატურის შესწავლას.

მრავალ ახალ სასკოლო შენობასა, კაბინეტსა, მოწყობილობასა, სტაბილურ სახელმძღვანელოსა და სასწავლო ხელსაწყოებთან ერთად, სტალინური ზრუნვის შედეგად ჩვენმა სკოლამ მიიღო აგრეთვე პედაგოგთა ახალი კადრები. ბევრი ყოფილი მასწავლებელი დაუბრუნდა თავის საქმეს.

ბოლშევიკური, სტალინური, რევოლუციური სიფხიზლის ერთი-ასად გამახვილება აუცილებელია სახალხო განათლების ფრონტზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ასე ძლიერი იყო სკოლის ანტილენინური, „მემარცხენე“ და მემარჯვენე თეორიების გავლენა, სადაც სულ უკანასკნელ დრომდე ბოგინობდა ეგრეთწოდებული პედოლოგია, რომლის საშუალებით ნიღაბაფარებული კლასობრივი მტერი თავისი საქმის გაკეთებას ცდილობდა. საჭიროა ბრძოლის გაძლიერება ამ განადგურებული ბურჟუაზიული, ანტიმარქსისტული თეორიებისა და ცრუმეცნიერების ნაშთებთან, საჭიროა მათი გამოცოცხლების ცდების აღკვეთა, პროჟექტერობისა და ფუქსავატობის მოსპობა სწავლების დარგში.

ფაქტები მოწმობენ, რომ გაცამტვერებული ტროცკისტულ - ზინოვიევური კონტრრევოლუციური ბანდის ნაშთები, ხალხის მტრები, ფაშისტური გესტაპოს დაქირავებული მკვლელები და მათი აგენტები ცდილობენ როგორმე გაძვრნენ განათლების დარგში სამუშაოდ და ამ ფრონტზე მიაყენონ ზიანი ჩვენს სამშობლოს. ფაქტები მოწმობენ, რომ ყოფილი ტროცკისტები, ზინოვიეველები, სოციალიზმის მტრები ათასგვარად ინიღბებიან, რათა უფრო ჩარჯვად და მოხერხებულად ჩასცენ მახვილი ჩვენს ქვეყანას, სოციალიზმის მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

ამ დღეებში საქ. კ.პ.(ბ) ალბულალ-მანგლისის რაიკომმა გამოააშკარავა და პარტიიდან გარიცხა რაიონის განათლების განყოფილების გამგე ტროცკისტი ზაბტაძე. მას ჩაშალა სასწავლო წლისათვის მზადება, რაიონში იგი ეწეოდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ საქმიანობას, და თავი განათლების ფრონტს შეაფარა, რომ მოზარდი თაობა კონტრრევოლუციური შხამით მოეწამლა. მარტო ეს მაგალითი განათლების ორგანოებს ავალებს ფხიზლად იყვნენ, ყოველთვის და ყოველგან გამოიცნონ შენიღბული მტერი და გახურებული შანთით ამოსწვან მათი ნაშთები.

სოციალიზმის ქვეყანაში ყველას აქვს განათლების უფლება. ამ უფლებას თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს ანიჭებს სტალინური კონსტიტუცია. სოციალიზმის ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა მოზარდი თაობის, კომუნიზმის მშენებელი თაობის ბოლშევიკურად, სტალინურად აღზრდისათვის. განათლების ორგანოებს, სახალხო მასწავლებელს აბარია ეს უაღრესად პასუხსაგები საქმე და მათ ბოლშევიკურად, სტალინურად უნდა გაუძღვნენ მას.

ნორჩო ამხანაგებო! ვისწავლოთ ფრიადზე, ვისწავლოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ, ჩვენი მამის, ჩვენი აღმზრდელისა და მასწავლებლის, დიდი სტალინის სასახელოდ!

გამოვიდა და იყიდება ბროშურა
ლ. ბერია
„ლონისძიებანი კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის“
იყიდება „სოიუზპეჩატის“ ყველა კიოსკში და „კომუნისტის“ გამომცემლობაში,
რუსთაველის გამზ. № 34.

სალამი წითელი არმიის ახალწვეულებს!

წითელ არმიას ბოლშევიკური ცვლა

ენტუზიაზმით, სიხარულით და დიდი აღფრთოვანებით დგება საბჭოთა ახალგაზრდობის მორიგი თაობა მშობლიური წითელი არმიის რიგებში. ჩვენი ქვეყანა წითელ არმიას აძლევს საუკეთესო, რჩეულ ახალგაზრდებს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებულს, რომელნიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავენ სოციალისტური სამშობლოს წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელ საზღვრებს.

თავდაცვის სახ. კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. კ. ვოროშილოვის ბრძანებით 1 სექტემბრიდან უკვე დაიწყო წითელი არმიის ნამდვილ სამხედრო სამსახურში ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა. წელს იწვევენ 1914 წელს დაბადებულ ახალგაზრდობის სრულ კონტინგენტს და 1915 წელს დაბადებულთა ნაწილს.

ტფილისში გაწვევა დღეიდან იწყება. დანარჩენ რაიონებში კი 15 და 20 სექტემბრიდან. ამიტომ ყველა პარტიულმა, სამეურნეო, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ერთხელ კიდევ უნდა გადახედონ თავიანთ მუშაობას წითელ არმიაში გაწვევისათვის მზადების დარგში და აქედანვე გამოასწორონ ყველა ნაკლი, რომ არმიას მისცენ ღირსეულად შემომზადებული, ფიზიკურად ჯანსაღი, წერა-კითხვის კარგად მცოდნე და კულტურული ახალგაზრდობა, რომელსაც ნამდვილად ექნება უნარი წარმატებით, სტახანოველურად დაეუფლოს მოწინავე სამხედრო ტექნიკას.

წითელი არმია საბჭოთა ხალხის განუყრელი ნაწილია. ის ხალხის საარსებო ინტერესებს იცავს. ამიტომ არის, რომ წითელ არმიას ისეთი მტკიცე და მაგარი ზურგი აქვს, როგორიც არასოდეს არც ერთ სხვა არმიას არ ჰქონია. მშრომელი ხალხი, რომელიც ყოველდღიურად ამაგრებს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს, როგორც ერთი კაცი ჩადგება წითელი არმიის რიგებში, თუ მტერმა გაბედა თავდასხმა სოციალიზმის ქვეყანაზე. ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხი უსაზღვროდ ამაყობს თავისი არმიით. არმია ამაყობს თავისი საპატიო მოვალეობით ფოლადის ჯავშნით დაიცვას სოციალიზმის ქვეყანა.

მთელი ხალხი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა სრული მოწონებით შეხვდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილებას არმიაში გასაწვევი ასაკის 19 წლამდე შემცირების შესახებ. მთავრობის ეს დადგენილება ეყრდნობა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალურ და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური ძლიერების ზრდას, საბჭოთა პატრიოტიზმის ჯანსაღ გრძნობას.

წითელი არმია უკვე მზად არის თავის რიგებში ახალი მებრძოლების მისაღებად. იმ რაიონებმა, რომლებიც ჯარში გაწვევას ათი და თხუთმეტი დღის შემდეგ იწყებენ, უნდა დაძაბონ ყველა ძალა, მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო და ორგანიზებულად ჩაატარონ მორიგი გაწვევა. მის დროზე უნდა შეაკეთონ და მოაწყონ გასაწვევი პუნქტი, მორთონ ის ლამაზად და კულტურულად.

ჩამორჩენილმა რაიონებმა (საგარეჯო, გურჯაანი, ახალქალაქი და სხვ.), რომელთაც გაწვევისათვის მზადებას კარგად მოჰკიდეს ხელი, ბოლო შემდეგ ეს საქმე თვითდინებას მიანდეს, ახლავე უნდა გამოასწორონ მდგომარეობა, რომ მათაც წარმატებით შეასრულონ ეს დიდი საქმე.

კოოპერაციამ, რაიონულმა პოჩტამ, რადიომ და ხელოვნების თვითმოქმედების აღმზრდელობითმა წრეებმა (დრამატული, ცეკვისა, სიმღერისა და სხვამ), საუკეთესო მომსახურება უნდა გაუწიონ არმიაში მიმავალ ახალგაზრდობას. გაწვევის დღეები უნდა გამოვიყენოთ გაწვეულთა შორის ბოლშევიკური პროპაგანდისა და აგიტაციის გასაშლელად. მომავალ მებრძოლებს ღრმად და საფუძვლიანად უნდა განვუმარტოთ პარტიისა და ხელისუფლების უკანასკნელი დადგენილებები, მათი ამოცანები წითელ ჯარში, უნდა გავუმარტოთ არამზადა ქვეწარმავალთა, ტროცკისტულ - ზინოვიევური ბანდის ნაშთების გამოძევების და რევოლუციური სიფხიზლის გამახვილების მნიშვნელობა.

ჩვენ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვესაჭიროება რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში არ გაძვრნენ კლასობრივი მტრის ნარჩენები, ტროცკი-ზინოვიევის არამზადა დაქირავებული აგენტები, რომ რკინისებური შეჭიდროება, ფოლადისებური სიმაგრე ჩვენი არმიისა ოდნავადაც არ შეირყეს, არ შესუსტდეს.

არ გავაცდინოთ არცერთი დღე. წარმატებით და ორგანიზებულად ჩავატაროთ მორიგი გაწვევა წითელ არმიაში, შევავსოთ იგი ყველაზე ნაცადი, ყველაზე ერთგული, ჯანსაღი ახალგაზრდობით, სოციალისტური სამშობლოს ერთგული პატრიოტებით.

მკერდით დავიცავთ სოციალისტურ სამშობლოს

ორჯონიკიძის სახ. მექანიკური ქარხნის სტახანოველ ახალწვეულთა კოლექტიური წერილი

დაგვიდგა სიხარულისა და ოცნების დღე. დღეიდან ვდგებით სახელოვანი წითელი არმიის რიგებში. ვტოვებთ ჩვენს მშობლიურ ქარხანას, რომელშიაც გავიზარდეთ, შევისწავლეთ საქმე, გავხდით სტახანოველები. ქარხნიდან წითელ არმიაში — აი რა ცვლილება მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენს სამშობლოს, რომელმაც მოგვცა საშუალება ბედნიერად ვქცეულიყავით, თოფით ხელში უნდა ვუდარაჯოთ, უნდა დავიცვათ მისი საზღვრები, რომლის იქითაც კაპიტალის უღელ ქვეშ ათასობით და მილიონობით შიმშილობენ და გმინავენ ჩვენისთანა ახალგაზრდები.

ჩვენ უსაზღვრო სიხარულით მივდივართ წითელ არმიაში, რადგან იგი მთელ მსოფლიოში ერთადერთი სახალხო არმიაა, რომელიც ნამდვილად იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს. ჩვენც ამ ხალხის შვილები ვართ, მათთან ერთად ვტკბებით ბედნიერი ცხოვრებით. ამიტომ ჩვენი ვალია: პირნათლად მოვიხადოთ ვალი პროლეტარული სამშობლოს წინაშე; ფხიზლად და მედგრად დავხვდეთ ყველას, ვინც კი შეეცდება სოციალისტური ქვეყნის ხელშეუხებელ და წმინდათა წმინდა საზღვრების შელახვას.

საკუთარი მკერდით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ დიდი ოქტომბრის, პროლეტარული რევოლუციის მონაპოვარს. სიმამაცე, სიმედგრე, ნებისყოფა, თავგანწირვა და სიფხიზლე — აი ის თვისებანი, რაც დღიდან წითელი არმიის რიგებში ჩადგომისა უნდა აღვზარდოთ ჩვენში. ეს თვისებანი ხომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე საპატიო ადამიანებს — საბჭოთა კავშირის გმირებს ახასიათებენ? სწორედ ამიტომ შემოსა ჩვენმა ქვეყანამ ისინი პატივისა, დიდების და უკვდავი სახელის შარავანდედით.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მარტო ეს თვისებები არ კმარა. თუ მარტო მამაცი ხარ და ის კი არ იცი, სად და როგორ გამოიყენო ეს სიმამაცე და გამბედაობა, შეიძლება სულ ადვილად დამარცხდე მტერთან ბრძოლაში. ამაზე ლაპარაკობდა მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელი ბელადი ამხ. სტალინი, როდესაც ადღეგრძელებდა საბჭოთა კავშირის გმირებს — ჩკალოვს და მის ამხანაგებს. სტალინი ამბობდა, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დაძლეულ იქნას ყოველგვარი სიძნელე, როდესაც სიმამაცეს და გამბედაობას უერთდება საქმის კარგი ცოდნა. მართლაც, რა მოხდებოდა, რომ ჩკალოვი და მისი ამხანაგები მარტო მამაცები ყოფილიყვნენ და არა ჰქონოდათ საავიაციო საქმისა და ფრენის ღრმა ცოდნა? ისინი ვერ მიაღწევდნენ ესოდენ დიდ და ჩვენი ქვეყნისათვის საამაყო გამარჯვებას.

იგივე ითქმის თვითეულ წითელარმიელსა და წვევამდელზე; სოციალიზმის ქვეყნის დაცვის წმინდათა წმინდა მოვალეობა თვითეულ წვევამდელს სამ უმთავრეს მოთხოვნილებას უყენებს: პირველი — უსაზღვრო ერთგულება სოციალიზმისადმი და ლენინ-სტალინის საქმისადმი, მეორე — სიმამაცე და გამბედაობა საბჭოთა კავშირის დასაცავად და, ბოლოს, სამხედრო საქმის ცოდნა, საბრძოლო ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა ათვისება, ურომლისოდაც შეუძლებელია საუკეთესოდ შეიარაღებული მტრის დამარცხება.

ჩვენ გამსჭვალული ვართ სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებით. გვიყვარს ჩვენი სამშობლო, რადგან მხოლოდ აქ შეუძლიათ ჩვენს მშობლებსა და ნათესავებს, დებსა და ძმებს, იცხოვრონ ადამიანურად, იშრომონ და დაისვენონ, ისწავლონ და აშენონ საკუთარი ბედნიერი აწმყო და მომავალი. მხოლოდ აქ, ჩვენშია განხორციელებული შრომის, დასვენების, სწავლისა და უზრუნველყოფილი მოხუცებულობის უფლება. აი, ამიტომ დავიცავთ ჩვენს ქვეყანას როგორც თვალის ჩინს, როგორც ყველაზე სიმამაცე, რომელიც წითელარმიელის განუყრელი თვისებაა, ჩვენც გვახლავს. მზად ვართ შევასრულოთ ყველაზე ძნელი და სახიფათო საქმეები წყალსა თუ ჰაერში, მიწის ზედაპირსა თუ მის წიაღში. მაგრამ სამხედრო საქმის ცოდნა ჯერჯერობით ნაკლებად გვაქვს.

წითელი არმია ამ ცოდნას მოგვცემს. ჩვენ ცოდნა გვწყურია; ხარბად დავეწაფებით სამხედრო მეცნიერების წყაროებს; უნდა დავეუფლოთ მტერზე გამარჯვების ხელოვნებას. არცერთი ტყვია, რომელიც გავარდება ჩვენი თოფიდან, არ ასცდება დამიზნებულ წერტილს — მტრის გულს. სახალხოდ ვაცხადებთ და მთელ ჩვენს ქვეყანას ვაძლევთ პირობას, რომ საბჭოთა კავშირს დავიცავთ ხმელეთზე, ჰაერში და წყალზე. პოსტი, რომლის დასაცავადაც ჩვენ განგვაწესებენ, საიმედო ხელში იქნება. შევისწავლით ამ საქმეს ისე, რომ ყოველთვის ვიყოთ მოწინავენი, სამხედრო ტექნიკის საუკეთესოდ ამთვისებელნი.

სოციალიზმის დიდო ქვეყანავ! დღეიდან ვუერთდებით შენი სახელოვანი წითელი არმიის რიგებს. შენი საზღვრების დასაცავად მოდგამენ ახალი წითელარმიელები, რომელნიც ფიცს სდებენ, რომ როგორც შენი ღირსეული შვილნი, დაგიცავენ საზიზღარ ფაშისტ-ინტერვენტებისაგან, ყოველგვარი ჯაშუშებისა და დივერსანტებისაგან.

სოციალიზმის დიდო ქვეყანავ! შენ აღგვზარდე ჩვენ ნამდვილ ადამიანებად; ამიტომ ვდგებით საგუშაგოზე და მკერდით დაგიცავთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ორჯონიკიძის სახ. მექანიკური ქარხნის სტახანოველი ახალწვეულები:

კილაურიძე, კარაპეტიანი, აბრამიშვილი, ქორიძე, ვენეტიკიანი, ხაჩატუროვი, ყაზაროვი, კაციტაძე, ამირბულოვი და სხვ.

წითელარმიელის წერილი ახალწვეულებს

კარგად მახსოვს, ეს იყო [illegible] წლის 28 ნოემბერს. სადგურის [illegible]იდან ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედნამდე გავაკეთე უკანასკნელი რეისი (ვატმანი [illegible]) და ჩემს ტრამვაის გამოვეთხოვე.

წითელ არმიაში გაიწვიეს 1911 წელს დაბადებული ახალგაზრდები; 1933 წლის 10 დეკემბერს უკვე წითელარმიელის ფორმაში გამოწყობილი გამამწესეს № ლეგიონში, ამ ლეგიონს მეთაურობს პოლკოვნიკი გარდიევი; დაუვიწყარი იქნება ამ ადამიანის ხსოვნა ჩემში. რამდენი ახსნა-დარიგება მოუცია მას ჩემთვის! ჩემს აღზრდაში მან ყველაზე დიდი როლი ითამაშა. ასეთი იყო ის ყველა წითელარმიელისათვის.

წითელ არმიაში ნამდვილი, ბოლშევიკური აღზრდა მივიღე: რა ვიყავი არმიაში გაწვევამდე? უბრალო ვატმანი, რომელიც ძლივს აწერდა თავის გვარსა და სახელს ხელფასების მიღების დროს. ქვეყნისა არაფერი ვიცოდი და არც მაინტერესებდა. რაც უნდა დიდი ამბავი მომხდარიყო, გაზეთს ხელში არ ავიღებდი.

რას წარმოადგენ დღეს? წითელმა არმიამ მთლად გამომცვალა. მტკიცე დისციპლინის სკოლა გავიარე. მივიღე ცოდნა არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში, შევისწავლე ბოლშევიკური პარტიის ისტორია; უკვე კარგად ვერკვევი მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად საკითხებში.

წითელ არმიაში 2 წლის განმავლობაში 12-ჯერ გამოცხადებული მაქვს მადლობა. აქედან 4 მადლობა პოლკოვნიკისაგან და 8 მადლობა კაპიტანისაგან. 3-ჯერ დამაჯილდოვეს ფასიანი საჩუქრით და ლიტერატურით (მარქსიზმ-ლენინიზმის [illegible]) არმიაში თვითეულ მებრძოლს ათეული [illegible], მასზე წიგნი [illegible]; როგორ იყო მიზანში სროლა? როგორ იცავ სამხედრო დისციპლინას? როგორ უფრთხილდები შენს ცხენს? როგორი ხარ ბრძოლისათვის მომზადებისა და სამხედრო საქმის შესწავლის დარგში — თუ კარგად — ყველას უყვარხარ; მეთაურების საყვარელი მებრძოლი ხარ, ყველგან შენზე ილაპარაკებენ მაგალითის.

ფიზიკური სიმტკიცე და ამტანობა განსაკუთრებით გესაჭიროებათ საზღვარზე მყოფ მებრძოლებს. თქვენგანაც ხომ ზოგი ჩვენი საზღვრების დასაცავად წავა? თქვენ უნდა შეგეძლოთ ხშირად რამდენიმე საათს გაუნძრევლად წოლა წვიმის, თოვლისა და მკაცრი სიცივის პირობებში. უნდა გქონდეთ ფოლადივით მაგარი სმენა, რომ შესძლოთ სულ პატარა და უხმო ჩამიჩუმიც კი გაიგოთ. უნდა გქონდეთ კარგი მხედველობა, რომ შესძლოთ ყველაფრის შემჩნევა და გამოცნობა შორეულ მანძილზე.

აი, ასე უნდა გაიწვრთნათ; ფიზიკური სიმტკიცე მარტო დაბადებიდან როდი ჰყავს ადამიანს; შეიძლება მისი შექმნა, სხეულის ფიზიკური განვითარება და გავარჯიშება.

ახალწვეულებო, 1914 და 1915 წლებში დაბადებულო ახალგაზრდებო! თქვენ მოგაქვთ ჩვენთან ახალგაზრდული ენერგია, ხალისი, ერთგულება სოციალიზმის ქვეყნისადმი. სამაგალითო მებრძოლებად რომ იქცეთ, გჭირდებათ სამხედრო საქმის ცოდნა. წითელი არმია ამ ცოდნას მოგცემთ.

თქვენ იქნებით ჩვენი ქვეყნის მედგარი დამცველები.

წითელარმიელი აპ. ჟვანია.

◇ ◇ ◇

ღირსეულ ცვლას ვაძლევთ

ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა წითელ არმიას ყოველწლიურად აძლევს ფიზიკურად ჯანსაღ, ენერგიით აღსავსე და ღირსეულ ცვლას.

ფაბრიკის პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფესიულმა და თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციებმა წითელ არმიაში გაწვევისათვის მზადებას წელსაც თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. გულდასმით შემოწმდა 1914 და 1915 წლებში დაბადებული ყველა ახალგაზრდა. თავდაცვაავიაქიმის უჯრედებმა წვევამდელთა შორის ფართოდ გაშალა მუშაობა თვითეული წვევამდელისათვის ვოროშილოვისებური სროლის შესასწავლად და ჩასაბარებლად ნორმებზე — „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის".

ამის შედეგად ფაბრიკაში უკვე ჰყავს 41 წვევამდელი, რომელიც ვოროშილოვისებური სროლისაა, 31 წვევამდელმა წარმატებით ჩააბარა ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის".

წვევამდელებმა გაწვევის წინ დიდი საწარმოო ენტუზიაზმი გამოიჩინეს. აფანასიევი, ანტონოვი, სიმონოვი, კაპანაძე, დოლიძე, მახარაძე, ელაშვილი და სხვა წვევამდელები გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს.

გეგმების ასეთი წარმატებით შესრულებისა და გადაჭარბებისათვის, ტექნიკის ათვისებისათვის წარმოებამ რამდენჯერმე დააჯილდოვა წვევამდელები: პავლე მარშალოვი, გიორგი კაპანაძე და სხვები.

ფაბრიკის 41 წვევამდელიდან 9 სტახანოველია და 17 დამკვრელი. მათ შორის ყველა წერა-კითხვის კარგად მცოდნეა. 7 წვევამდელმა, რომელთაც წერა-კითხვა სუსტად იცოდნენ, წარმატებით დაამთავრეს მცირეწიგნიერობის სალიკვიდაციო სკოლა.

გ. ბაბიციაშვილი.

ამხ. ორჯონიკიძის სახ. მექანიკური ქარხნის სტახანოველი ახალწვეულები, რომელთაც გაწვევამდე სრულყოფილად გაიარეს სამხედრო მომზადება და რომელნიც ამ დღეებში დგებიან სახელოვანი წითელი არმიის რიგებში: (მარცხნიდან მარჯვნივ) შალვა კილაურიძე, ზაქრო აბრამიშვილი, ბაკენ კარაპეტიანი, ვანო ქორიძე და ალბერტ ვენეტიკიანი.

პ. აფხაძე

საქ. განათლების სახალხო კომისრის მოადგილე.

საბჭოთა სკოლა ახალ ეტაპზე

31 წლის 5 სექტემბერს სწორედ ხუთი წლის წინ, — საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება „დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ". ეს დადგენილება წარმოადგენს სოციალიზმის სკოლის მშენებლობის გაშლილ პროგრამას და კომუნისტური აღზრდა-განათლების თეორიის უძვირფასეს განძს.

პარტიის ეს ისტორიული, უმნიშვნელოვანესი დადგენილება სკოლის შესახებ გამოტანილ იქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა საყვარელი ბელადის, გენიალური სტალინის პირადი ინიციატივით. ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხ. ლ. კაგანოვიჩმა ამის შესახებ სთქვა: „გაიგო ამხანაგმა სტალინმა, რომ ერთ სკოლაში ცუდად მიდის სწავლება, დისციპლინა არ არის, მასწავლებელს პატივს არ სცემენ. ცუდად არის დაყენებული ბავშვების სწავლების საქმე. და აი, ამ ერთი ფაქტით გაიხსნა სკოლის საკითხის მთელი კვანძი და მიღებულ იქნა სკოლის შესახებ ის დადგენილებანი, რომელთაც შემდეგ თვითონ განათლების მუშაკები სამართლიანად სთვლიან მართლაც ისტორიულ დადგენილებად".

სტალინური ცენტრალური კომიტეტის 5 სექტემბრის დადგენილებაში უდიდესი სიღრმით და სიზუსტით არის განსაზღვრული სკოლის მუშაობის ყველა ძირითადი საკითხი, როგორიც არის მეცნიერებათა შესწავლის ამოცანა, პროგრამები და სწავლების მეთოდები, მასწავლებლის როლი, კომუნისტური აღზრდის ამოცანა და სხვ.

ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ისტორიულ დადგენილებაში შეაჯამა სკოლის განვლილი მუშაობა და აღნიშნა, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ დიდ წარმატებებს მიაღწია სასკოლო ქსელის გაფართოვებისა და სკოლის გარდაქმნის საქმეში. მოსწავლეთა რიცხვი დაწყებითსა და საშუალო სკოლაში საბჭოთა ხელისუფლების დროს ერთი-სამად და კიდევ მეტად გაიზარდა. პრინციპულად სხვაგვარი გახდა სკოლის მთელი მუშაობის შინაარსი.

ამ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა სკოლა, რომელიც თავის ამოცანად ისახავს მოამზადოს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული წევრები, ბევრად უფრო ფართო საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ჰორიზონტსა და საერთო განვითარებას აძლევს ბავშვებს, ვიდრე რევოლუციის წინა დროის ბურჟუაზიული სკოლა.

მიუხედავად ამ უდიდესი მიღწევებისა, ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სკოლის მუშაობის ძირითადი ნაკლი, სახელდობრ ის, რომ „სწავლება სკოლაში არ იძლევა საერთო განათლების საკმაო ცოდნას და არადამაკმაყოფილებლად აწყობს ტექნიკუმებისა და უმაღლეს სკოლისათვის სავსებით მცოდნე პირთა მომზადების ამოცანას, რომლებსაც კარგად ექნეთ შეთვისებული მეცნიერებათა საფუძვლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია და სხვ.)". ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება საფუძვლად დაედო სკოლის მთელ შემდგომ მუშაობას.

ხუთი სექტემბრის ისტორიულ დადგენილებაში ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა სკოლის ძირითადი ნაკლის ლიკვიდაციის მტკიცე პროგრამა. სკოლის მუშაობის დაბალი ხარისხისა და სასკოლო ორგანიზაციის შესუსტების ერთერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო „სკოლის კვდომის" ანტილენინური თეორიის გავლენა სკოლაზე. ამ ბრიყვული თეორიიდან გამომდინარე კომპლექსურ-პროექტულმა სისტემამ რამდენიმე წლის განმავლობაში გამანადგურებელი როლი ითამაშა საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში. „სკოლის კვდომის" თეორიის მეტორები წინასწარმეტყველებდნენ სკოლის ლიკვიდაციას და ამის განხორციელებლად ფართოდ ინერგებოდა ე.-წ. კომპლექსურ - პროექტული სისტემა, რაც უარჰყოფდა მტკიცე პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, მასწავლებლის როლს, გაკვეთილს, სასწავლო ცხრილს და სკოლის ორგანიზაციის სხვა ძირითად ნიშნებს. ცენტრალური კომიტეტის ხუთი სექტემბრის დადგენილებამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა „სკოლის კვდომის" თეორიიდან გამომდინარე მეთოდიურ პროექტიორობას და შეუქმნა სკოლას ყველა პირობა მოწაფეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისათვის.

ხუთი სექტემბრის ისტორიულმა დადგენილებამ სკოლა ახალ გზაზე დააყენა და სკოლის მუშაობის მთელი შინაარსი მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე გადაიყვანა. ამ სტალინურმა დადგენილებამ ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა რევოლუციური თეორია სწავლა-აღზრდის შესახებ და გაამდიდრა საბჭოთა პედაგოგიკის მთელი შინაარსი.

ამ დადგენილებასთან არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის სხვა დადგენილებებიც სკოლის შესახებ. ეს დადგენილებები შეეხებიან დაწყებითი და საშუალო სკოლის რეჟიმს, სასკოლო სახელმძღვანელოებს, საბჭოთა სკოლის სტრუქტურას, სამოქალაქო ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებას, ახალი სასკოლო შენობების აგებას, სასწავლო მუშაობის ორგანიზაციას, შინაგან განწესრიგებას დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს ამა წლის აპრილის დადგენილებანი მასწავლებელთა ხელფასის, მასწავლებლის პერსონალური სახელწოდების დაწესების და მასწავლებელთა დანიშვნის წესის საკითხებზე. ამ დადგენილებებში განხორციელებულია ლენინის ისტორიული მითითებანი სახალხო მასწავლებლის შესახებ.

უდიდესი სტალინური ზრუნვა სახალხო მასწავლებელზე, რის მსგავსი არცერთ სხვა ქვეყანაში არასდროს არ არსებულა, არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს ბურჟუაზიული წყობილების დროს, — აი რა არის განხორციელებული ამ შესანიშნავ დადგენილებებში. მასწავლებელი საბჭოთა ქვეყანაში უდიდესი ზრუნვისა და პატივისცემის საგანია, მასწავლებლობა საპატიო ხელობა.

საბჭოთა სკოლამ უდიდესი ნაბიჯი წადგა წინ 5 სექტემბრის დადგენილების და მასთან დაკავშირებულ სხვა გადაწყვეტილებათა საფუძველზე, განადგურებულ იქნა „სკოლის კვდომის" უმეცარი და სოფლიერი თეორია, თუმცა მისი გავლენა ჯერ კიდევ სავსებით როდია მოსპობილი განათლების დარგის ყოველი მუშაკის შეგნებიდან. სკოლამ მთელ რიგ ძირითად საგნებში მიიღო მტკიცე და სტაბილური სახელმძღვანელოები. შემუშავდა მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული პროგრამები. გაძლიერდა სკოლის მატერიალური ბაზა, უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ქალაქებს და სოფლებს შეემატა მრავალი ათასი ახალი სასკოლო შენობა, რის მეოხებით მოისპო სამცვლად მუშაობა სკოლებში და უახლოეს ვადაში მოისპობა მეორე ცვლაში მუშაობაც. სწავლის ხარისხი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. სკოლაში განმტკიცდა დისციპლინა და წესრიგი. საბჭოთა სკოლის ეს ისტორიული მიღწევები შედეგია გენიალური ბელადის — დიდი სტალინის უსაზღვრო ზრუნვისა სკოლაზე და მასწავლებელზე, შედეგია იმ ხელმძღვანელობისა და დახმარებისა, რომელსაც სკოლას და სახალხო განათლების ორგანოებს კომუნისტური პარტია და ხელისუფლება უწევენ.

მიუხედავად ამ უდიდესი ზრუნვისა და დახმარებისა, უნდა ითქვას, რომ სახალხო განათლების ორგანოების სუსტი და ნაკლოვანი მუშაობის გამო საბჭოთა სკოლა ჯერ კიდევ ვერ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს, ის კიდევ ვერ დგას იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებსაც აყენებს მის წინაშე ჩვენი პარტია და დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ახალმა სასწავლო წელმა, რომელიც პირველ სექტემბრიდან დაიწყო, ახალი, გადამწყვეტი წარმატებები უნდა მოგვიტანოს სკოლის მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. სკოლის ძირითადი ნაკლი საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას ყოველ საგანში და სასკოლო მუშაობის ყოველ დარგში. საბჭოთა სკოლა უნდა მუშაობდეს ისევე უნაკლოდ და უწყვეტად, როგორც საათის მექანიზმი, ის ისე უნდა გამართულიყო, რომ მისი ყოველი რგოლისათვის უცხო იყოს პროექტიორობისა, ზერელობისა და უპასუხისმგებლობის, უწესრიგობისა და სიმხდალის ყოველი გამოსახულება, რომ ის ამზადებდეს ყოველმხრივ განვითარებულ, ღრმა ცოდნით შეიარაღებულ, მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლებს დაუფლებულ, კომუნისტურად მოაზროვნე და მოქმედ ადამიანებს.

ახალ სასწავლო წელს ჩვენი სკოლები შედარებით უკეთ მომზადებული ხვდებიან, ვიდრე წარსულ წლებში. წელს მხოლოდ ქალაქად აშენდა და მოეწყო 21 ახალი სასკოლო შენობა. ამ შენობებში 10.700 მოწაფე ისწავლის. 116 სკოლა შენდება სოფლად, რომელთაგან 60 ამ წლის ბოლომდე დამთავრდება, დანარჩენი შემდეგ წელში გადავა დასამთავრებლად. შეკეთდა და უკეთ მოეწყო მრავალი ძველი სასკოლო შენობა. ბევრი ამ შენობათაგანი ისე შეკეთებული, რომ ზოგ ახალ შენობასაც კი არ ჩამოუვარდება.

ამ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ახალი სტაბილური სასწავლო გეგმა. ეს გეგმა შედგენილია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკ-ის სამი სექტემბრის დადგენილების საფუძველზე. სასწავლო გეგმა სწავლების მთელი საქმის ორგანიზაციის საფუძველია. ახალ სასწავლო გეგმაში გაძლიერებულია დედაენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლა, ისტორიის შესასწავლად გათვალისწინებულია საათების გადიდებული რაოდენობა, კერძოდ საქართველოს ისტორიის შესწავლის მიზნით საშუალო სკოლის მე-8 და მე-9 კლასებში მიმატებულია თითო საათი, გადიდებულია აგრეთვე საათები შრომითი სწავლების გასაძლიერებლად.

ახალი სასწავლო გეგმით ძლიერდება უცხო ენების სწავლება არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში. უცხო ენების სწავლება ქალაქის სკოლებში იწყება მე-5 კლასიდან და ყოველ კლასში ამას ორ-ორი საათი ეთმობა საშუალო სკოლის უკანასკნელ კლასამდე.

ახალი სასწავლო გეგმა საშუალებას იძლევა შედგენილ იქნას მტკიცე ცხრილი მთელი სასწავლო წლისათვის. ამის გამო სასწავლო წლის განმავლობაში გაკვეთილების (ცხრილის) დარღვევას ან შეცვლას განსახკომი შეურიგებელ წინააღმდეგობას გაუწევს და ყოველ ასეთ შემთხვევის დროს დამნაშავეს სასტიკად დასჯის. (ცხრილი უნდა შესდგეს მთელი წლისთვის მტკიცე და [illegible]). ამას მოითხოვს სასწავლო საქმის ორგანიზაციის სასიცოცხლო ინტერესი.

ახალი სასწავლო წლისთვის თავის დროზე გამოიცა სახელმძღვანელოები და სკოლის პროგრამები, გარდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის პროგრამისა. ისტორიის პროგრამის შედგენა ისტორიის ახალ სახელმძღვანელოს ელოდება, ხოლო ქართული ლიტერატურის პროგრამა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში იმყოფება. ამ დღეებში განსახკომი დაამტკიცებს და გამოსცემს ქართული ლიტერატურის ახალ მტკიცე პროგრამებს. მანამდე სკოლებმა ძველი პროგრამებით უნდა იხელმძღვანელონ.

ყველაზე მთავარი ღონისძიება, გატარებული ახალი სასწავლო წლის მომზადებასთან დაკავშირებით, ეს არის განათლების მუშაკთა კადრების — მასწავლებლების, დირექტორების, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეების შესწავლა და განაწილება. საკ. კპ. (ბ) ც. კ-ისა და საკავშირო სახკომსაბჭოს ა.-წ. აპრილის დადგენილების თანახმად განათლების სახალხო კომისარიატს ჰქონდა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებელთა, სასწავლო ნაწილის გამგეთა და დირექტორთა დანიშვნა, გადაყვანა თუ განთავისუფლება. საკ. კპ. (ბ) ც. კ-ის ეს დადგენილება იქითკენ არის მიმართული, რომ მოწესრიგდეს და განმტკიცდეს სკოლის მუშაკთა კადრების შემადგენლობა, აღიკვეთოს ამ კადრების დაუსრულებელი გადაყვან-გადმოყვანის პრაქტიკა და ამასთან დაკავშირებული ხშირი ცვლა მუშაკებისა, ამასთან ერთად ეს ღონისძიება კიდევ უფრო აამაღლებს მასწავლებლის, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგისა და დირექტორის ავტორიტეტს.

ამ ჩატარებული მუშაობის პირველი არა საბოლოო შეჯამებაც ნათლად მოწმობს, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე წელს დიდად გაუმჯობესდება სკოლის მუშაკთა შემადგენლობა. ამას ხელი შეუწყო განსაკუთრებით მასწავლებლის ხელფასის მომატებამ. პედაგოგიურ მუშაობას ისეთი პედაგოგები უბრუნდებიან, რომელნიც სხვა სამუშაოზე იყვნენ გადასულნი. უმაღლესი პედაგოგიური სკოლა დამთავრებული ახალგაზრდობაც უფრო დიდი ხალისით მოდის პედაგოგიურ სამუშაოზე. ამის გამო განათლების სახალხო კომისარიატმა წ-ის მოახერხა საგრძნობლად გაემრავლებინა სკოლები მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგიური კადრებით. ავიღოთ, მაგალითად, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები. ამ სკოლებში განსახკომმა ათასამდე (962) ახალი მომუშავე გაგზავნა. აქედან 690 მასწავლებელია, ხოლო 272 დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე. ამათგან თითქმის ნახევარი უმაღლესი განათლებითაა, ხოლო დანარჩენები ისეთებია, რომელთაც უმაღლეს დაუმთავრებელი განათლება აქვთ და პედაგოგიური მუშაობის საკმაოდ დიდი (3—10 წლამდე) სტაჟი.

ახალი სასწავლო წლისთვის, ისე როგორც სკოლის მთელი შემდგომი მუშაობისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკავშირო კომპარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 4 ივლისის დადგენილებას „პედოლოგიური დამახინჯებათა შესახებ განათლების სისტემაში". ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლის შემდგომი განმტკიცების და პედაგოგის როლის ამაღლების საქმეში. ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი დირექტივაა, აღდგენილ იქნას პედაგოგი და პედაგოგიკა თავის უფლებებში. ეს გადაჭრით უნდა გავატაროთ.

პედაგოგიკა მეცნიერებაა, რომლის როლი უზომოდ ძლიერდება სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. პედოლოგიური დამახინჯებანი, რომლებიც საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული განათლების ორგანოების სისტემაში, დიდი დროის განმავლობაში არღვევდა სკოლის და ამცირებდა პედაგოგის როლს. ეს დამახინჯებანი საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას. ჯერ კიდევ ბევრია ამ მხრივ გასაკეთებელი. მასწავლებელთა ფართო მასები უნდა აღიზარდონ ცენტრალური კომიტეტის 4 ივლისის დადგენილებაზე. ამ დადგენილების აზრით და მისგან გამომდინარე დასკვნებით უნდა გაიმსჭვალოს სრულიად საბჭოთა სკოლის [illegible] პედაგოგი. ეს დიდი მუშაობა მოეთხოვება განათლების სახალხო კომისარიატს, რომელიც შესაძლებლობა [illegible] ცენტრალური კომიტეტის 4 ივლისის დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკაში [illegible] და დაბალი მეცნიერული დონის [illegible], ისე რომ მოეწყოს ისეთი მუშაობა, რომ ხელმძღვანელობა და ნამდვილად აღზარდოს საბჭოთა სკოლის შემოქმედებითობას და საბჭოთა მასწავლებლის როლის შემდგომ ამაღლებას.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი შესძლებს ამ ამოცანის შესრულებას, რადგანაც მას ხელმძღვანელობს და შეუნელებელ ყურადღებას აქცევს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების საყვარელი ხელმძღვანელი — ამხანაგი ლავრენტი ბერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისწავლოთ ფრიადზე

მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლა (ტფილისი). სასწავლო ნაწილის გამგე დ. ფირცხალავა სახელმძღვანელოებს სთავაზობს მე-10 კლასის ფრიადოსან მოწაფეს მარინე ერისთავს.

შექმნილია ნორმალური მეცადინეობის პირობები!

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილება საფუძვლად დაედო დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაობის გაუმჯობესებას.

ამ დადგენილების გატარების საფუძველზე ტფილისის სტალინის რაიონის სკოლებმა შესძლეს მუშაობის ძირეულად გარდაქმნა — განაცხადა სტალინის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. კვაჭაძემ — სკოლები მატერიალურად განმტკიცდნენ და პედაგოგებს შეექმნათ ყველა პირობა ნორმალური მუშაობისათვის. სწავლების ახალი მეთოდის გამოყენებამ ხელი შეუწყო სკოლებში სოციალისტური მშენებლობის ინიციატივის მქონე და აქტიურ მოწაფეთა აღზრდას. პირველ ხანებში საკმაო ბრძოლა დაგვჭირდა ზედაპირული მეთოდების განსადევნად და სკოლებში მეთოდიური ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. ახალ სასწავლო წელს ჩვენი რაიონის სკოლები მომზადებული ხვდებიან. რაიონში სულ 19 სკოლაა; აქედან თერთმეტს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა და რვას მიმდინარე. წელს სკოლების შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის 262.150 მანეთი დაიხარჯა. ამ საქმეში დიდად დაგვეხმარნენ შეფები და მშობელთა კომიტეტები. მათ შესძლეს სკოლების კეთილმოწყობისათვის დიდძალი თანხის გაღება, რითაც საკლასო ოთახები სანიმუშოდ მოვაწყვეთ. მეორე საბაზო სკოლას კარგად აქვს მოწყობილი ქიმიის, ფიზიკის და ბუნება-გეოგრაფიის კაბინეტები. წელს შეიძინეს ახალი ხელსაწყოები, რაც უზრუნველჰყოფს სასწავლო წელში მოწაფეთა პრაქტიკულ მეცადინეობას. ასევე სანიმუშო კაბინეტები აქვთ მე-27 და მე-35 საშუალო სკოლებს.

სასწავლო წლისათვის მომზადებულად შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე სტალინის რაიონის განათლების განყოფილებამ შესძლო ორწყებიანი მეცადინეობის მოსპობა, რაც დიდად შეუწყობს ხელს სწავლის მაღალ ხარისხს. მე-7 საშუალო სკოლაში შარშან ორწყებიანი მეცადინეობა იყო, მაგრამ აქ გადიდებულ იქნა ოთახების რიცხვი და ამით შეიქმნა ერთწყებიანი მეცადინეობის შესაძლებლობა. ამ სკოლამ სხვადასხვა ხელისშემშლელი მიზეზების გამო სწავლას ჩამორჩენილი 16 კაცი აღმოაჩინა, რომელთა საგნები შეისწავლეს და ყველანი სასწავლებელში მოაწყეს.

ეს სკოლა კარგად ატარებს განმეორებით გამოცდებს, რომლებიც 25 აგვისტოს დაიწყო და 7 სექტემბრამდე გასტანს. მე-7 კლასის მოწაფეს ნათელა ზარანდიას ქიმიაში სუსტი გამოჰყვა, მაგრამ მან ამ ზაფხულში ბეჯითი სწავლით შესძლო ჩამორჩენის აღმოფხვრა და გამოცდები კარგზე ჩააბარა. დავით გოგოლიანსაც სუსტი ჰქონდა ქიმიაში, მაგრამ გამოცდების დროს კარგი ნიშანი მიიღო.

— მთელ რაიონის სკოლებისათვის — აცხადებს ამხ. კვაჭაძე — შექმნილია 450 ახალი მერხი, 70 მაგიდა, 380 სკამი, 80 შკაფი, 45 დაფა. გარდა ამისა, შეკეთებულია ძველი მერხი და მაგიდა. სკოლები უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური მასწავლებლებით. კადრები საკმარისი გვყავს. სკოლებს შინაგანაწესი და საწარმოო გეგმა შედგენილი აქვთ. კლასები დაკომპლექტებულია და ყველას საწარმოო გეგმა მიღებული აქვს. მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესების მიზნით შევაკეთეთ და სანიმუშოდ მოვაწყვეთ სამასწავლებლო ოთახები, რაზედაც 7 ათასი მანეთი დაიხარჯა. ამგვარად, ჩვენი რაიონის სკოლები მომზადებული ხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

ფრიადზე ვისწავლი

ჩვენი სკოლის შენობა კარგად გამოიყურება. მისი ფართო ფანჯრები და ამწვანებული ეზო გვიწვევს სამეცადინოდ. მეექვსე წელიწადია ამ სკოლაში ვსწავლობ. ზაფხულშიაც აქ ვიყავი და ვნატრობდი, რაც შეიძლება მალე გავზრდილიყავი დიდი, რომ სხვებსავით შემძლებოდა თავისუფლად წერა-კითხვა და მათემატიკის რთული ამოცანების გამოყვანა. ეს ნატვრა შემისრულდა. გასულ სასწავლო წელს ხუთი კლასი ფრიადზე დავამთავრე. ახლაც მომზადებული ვხვდები მეცადინეობის დაწყებას.

ამ ზაფხულს მრავალი წიგნი წავიკითხე. ძალიან მომეწონა „ლედი ჯენი", ალ. ყაზბეგის „ელგუჯა", „ელისო" და სხვ.

ამ რამდენიმე დღის წინათ მამამ ერთი ყუთი მომიტანა, რომელშიც ჩავყარე ფხვიერი მიწა, ჩავრგე ფერად-ფერადი ყვავილები და მეცადინეობის დაწყების დღეს სკოლაში წავიღებ. ეს იქნება ჩემი საჩუქარი. ყვავილებს მე ვუვლი. ერთ-ერთმა გამოიღო ჩემი ბანტისფერი — წითელი ყვავილი და ფანჯარაში მზის სინათლისაკენ თავი გადახარა.

ძალიან მიყვარს წიგნები. ჩემს პატარა თაროს გუშინწინ მიემატა ახალ სასწავლო წლისათვის ქართულის, გეოგრაფიის, მათემატიკის და რუსული ენის სახელმძღვანელოები.

პირველ სექტემბერს სკოლაში მივედი. მეგონა მეცადინეობა დაიწყებოდა, მაგრამ გავიგე, რომ ათისათვის გადაუდვიათ. ცოტა არ იყოს მეწყინა კიდეც.

ამ ზამთრისათვის სასკოლო ნივთების გარდა დედამ ტანისამოსიც მიყიდა. თაროსთან ახალი ბოტები მიდევს. პალტოც კარგი მაქვს. ასე რომ სუსხიანი ზამთარი ვერაფერს დამაკლებს. შარშან არცერთი „სუსტი" არ მიმიღია. წელსაც არ შევირცხვენ თავს და ფრიადზე ვისწავლი.

ეთერ როსტომაშვილი

მე-35 სკოლის ფრიადოსანი

◇

მოწინავეა

ტფილისში 26 კომუნარის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებას ორი წელია რაც გარდამავალი დროშა აქვს შენარჩუნებული. წელსაც რაიონში გეგმით გათვალისწინებული 13 სასკოლო შენობის ნაცვლად 17 შეკეთდა.

სკოლების შეკეთებისათვის 318 ათას მანეთამდეა დახარჯული. ამ თანხიდან ბიუჯეტით მხოლოდ 55 ათასი მანეთი იყო გათვალისწინებული. დანარჩენი 263 ათასი მანეთი განათლების განყოფილებამ და სკოლებმა მიიზიდეს სამეურნეო ორგანიზაციების, სკოლის დამხმარე საბჭოების და შეფების საშუალებით. შეფებისაგან რაიონის სკოლებმა მიიღეს აგრეთვე საუკეთესო სასულე ორკესტრი.

ახალი სასწავლო წლის მომზადებაში რაიონის განათლების განყოფილებას და სკოლებს ენერგიულად ეხმარებოდნენ მაკარონის, მუსიკალური იარაღების, გალეტის, ფეხსაცმლის ახალი და სხვა ფაბრიკები, ავურის, მარგარინის, ზეთსახდელი, ორჯონიკიძის სახელობის და სხვა ქარხნები.

დამაკმაყოფილებლად მუშაობდა რაიონის განათლების განყოფილება ბავშვთა საზაფხულო დასვენების მოწყობისათვის. სხვადასხვა ბანაკში გაიგზავნა 285 პიონერი და მოწაფე, სანატორიუმებში — 28, წაღვერსა და ცემში — 33, ამას გარდა ქარხანა-ფაბრიკების მუშათა ბავშვებისათვის თვით წარმოების ხარჯზე მოწყობილი იყო სანატორიული ტიპის გამაჯანსაღებელი მოედნები, სადაც 623 კაცი გატარდა. ამ საქმისათვის 82 ათასი მანეთია დახარჯული.

შ. ჯ.

ახალი ენერგიით

მერი ბალახაშვილი

მე-50 სკოლის მასწავლებელი

სკოლაში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ წავედი სოფელში, რომ ამენაზღაურებინა დახარჯული ენერგია და ახალი ძალღონით და ცოდნით შევხვედროდი ახალ სასწავლო წელს. დასვენების დროს ვკითხულობდი მეთოდიურ ლიტერატურას, რომელიც წასვლის წინ მომცეს. კარგად გავატარე ზაფხული და ჩამოვედი განმეორებითი გამოცდების ჩასატარებლად. გამოცდებზე ის მოწაფეები, რომლებსაც სუსტი გამოჰყვათ, მომზადებულნი მოვიდნენ. მათ ზაფხულში კარგად უმეცადინიათ. ვახტანგ გელაშვილი მთელი წლის განმავლობაში რუსულ ენას სუსტად სწავლობდა, მაგრამ ამ ზაფხულში კარგად უმუშავნია და გამოცდებზე ფრიადი მიიღო.

ჩვენი სკოლის მოწაფეები და მასწავლებლები სიხარულით მოელიან ახალი სასწავლო წლის დაწყებას. უკვე მივიღე ცხრილი, დავამუშავე გეგმა. შევიძინე ჩემი საგნის, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. წელს მე არ მეყოლება არცერთი სუსტი მოწაფე. დავეხმარები სუსტებს, დავაინტერესებ და შევასწავლი საგანს.

მასწავლებლებს კარგი პირობები გვაქვს ნორმალური მუშაობისა და ცხოვრებისათვის. ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა დადგენილებამ ჩვენ ბევრი რამ მოგვცა, ახლა მასწავლებლობა სახელისა და დიდების საქმეა. მე არ მჭირდება ახლა სხვადასხვა სკოლაში გაკვეთილების აღება, რადგან საგრძნობლად გაუმჯობესდა მატერიალური პირობები. ერთ სკოლაში მუშაობაც საკმარისია ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვისაც. როგორც დრო მიდის წინ, ისე თანდათან ჩვენც მივიწევთ წინ, გვიუმჯობესდება მუშაობის პირობები, წელს სრულიად ახალი სკოლის შენობაში ვიწყებთ მეცადინეობას, სკოლა ყოველმხრივ მოწყობილია.

სწავლასთან ერთად დიდ ყურადღებას ვაქცევთ მოწაფეთა თვითგანვითარებას. ამ მიზნით სკოლის ადმინისტრაციამ წელს დიდი მუშაობა ჩაატარა. შევიძინეთ რუსულ-ქართულ ენაზე დიდძალი ლიტერატურა და ახალ სასწავლო წელში წიგნებით უზრუნველვყოფთ მოწაფეებს. მეხუთე კლასის ფრიადოსანი სურენ კირაკოზიანი, მიუხედავად თავისი ასაკისა, ეცნობა კლასიკურ მწერლობას. მან ამ ზაფხულში წაიკითხა „დუბროვსკი", „ევგენი ონეგინი", „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და სხვ. ასევე დაინტერესებულია მხატვრული ლიტერატურით ირა შერტაძე, ალიოშა ტიტენკო და სხვ.

ჩვენი სკოლა უზრუნველყოფილია კვალიფიციური მასწავლებლებით. ახალ სასწავლო წელს ახალი ენერგიით ვხვდებით.

◇

სად არიან მასწავლებლები?

გ. ცოტაძე

განსახკომის ინსტრუქტორი

როგორც ვიცით საქართველოს რაიონების სკოლებში პირველ სექტემბერს მეცადინეობა დაიწყო. ამ დღეს მთელი რიგი რაიონების განათლების განყოფილებები მომზადებული შეხვდნენ, მაგრამ ეს არ ითქმის ამბროლაურისაზე, სადაც სწავლა დაიწყო, მეტად მოუმზადებლად და ცუდ პირობებში.

31 აგვისტოს გაიმართა რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობა. რაიონის მთელ რიგ სკოლებს აქვთ მიღწევები, მაგრამ ეს არ ითქმის ჯვილაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფელ ზნაკვის საშუალო სკოლის მუშაობა, რომელმაც მიმდინარე და კაპიტალური რემონტის გეგმა ბრწყინვალედ შეასრულა. მერხები, მაგიდები და დანარჩენი სასწავლო ნივთები თავის დროზე იქნა შეკეთებული. პირველ სექტემბერს მეცადინეობა დაიწყო, მაგრამ ლიტერატურას მასწავლებელი აკლდათ და ამან გამოიწვია გაკვეთილის ცდენა.

ქვიშარის დაწყებითი სკოლის გამგეს ენერგიული მუშაობით კოლმეურნეებმა უფასოდ შეაკეთეს მერხები, მაგიდები და მთელ სკოლას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. აგრეთვე ზამთრისათვის მომარაგებულ იქნა შეშა. სკოლას მასწავლებლები არ აკლია. მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. პირველ დღეს მოწაფეების მიერ გაცდენას ნაკლებად ჰქონდა ადგილი.

სოფელ ტოლის დაწყებითი სკოლის ხელმძღვანელებს დღემდე არ უზრუნვიათ საკლასო ოთახების, მერხების და მაგიდების შეკეთებაზე. თუმცა თანხა და გეგმა ჰქონდათ მოცემული, მაგრამ სკოლის გამგემ თავი არ შეიწუხა და არც განათლების განყოფილებამ მიაქცია ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ჯეროვანი ყურადღება. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ჭყვიშასა და ფუტიეთის სკოლებში. სოფელ სხვავის არასრულ საშუალო სკოლას დღემდე დირექტორი არა ჰყავს, რის გამო მეცადინეობას საფრთხე მოელის.

გარდა ზემოაღნიშნული ნაკლისა, სკოლები განიცდიან მასწავლებელთა ნაკლებობას. არა ჰყავთ რუსული და გერმანული ენის მასწავლებლები. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დანიშნული მასწავლებლები გრ. ფოფხაძე, მ. სოხაძე, თ. სოთიძე, ქ. სურგულაძე, ბ. ფერაძე, მ. ფოფხაძე და სხვ. რაიონში დღემდე არ გამოცხადებულან.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამბროლაურის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ლ. ტურძილაძემ თავის დროზე არ მიაქცია სასწავლო წლისათვის მზადებას ყურადღება. მან ეს ნაკლი უახლოეს დროში უნდა გამოასწოროს.

მე-49 არასრული საშუალო სკოლა (ტფილისი). მეხუთე კლასის მოწაფეები ხ. კირაკოსიანი, ალ. ტიტენკოვი და ი. ბერტაშვილი ეცნობიან ახლად შეძენილ სახელმძღვანელოებს.

შეჯიბრებული ვარ

მეხუთე კლასი ფრიადზე რომ დავამთავრე, მშობლებთან ერთად დასასვენებლად ამ ზაფხულს კისლოვოდსკში გავემგზავრე. ჩემს წინაშე სულ სხვა ცხოვრება გადაიშალა. ძალიან გამიტაცა ამ მხარის ბუნებამ. ჯერ კიდევ ტფილისში წაკითხული მქონდა, რომ პიატიგორსკში რუსეთის დიდი მწერლის ლერმონტოვის მუზეუმია. კისლოვოდსკში ჩასვლის მეორე დღესვე ვთხოვე დედას, რომ პიატიგორსკში წავეყვანე მუზეუმის სანახავად. ჩემი სურვილი ასრულდა. მუზეუმი კი არა, ის ადგილიც დავათვალიერე, სადაც ლერმონტოვი დუელში მოკლეს. დუელის ადგილს დიდხანს ვუყურე და თავბრუ დამესხა. მომეჩვენა თითქოს ეს უზარმაზარი ადამიანი მიწიდან წამოდგა. რათ იცოდნენ წინათ დუელი? რა საძაგლობაა! რამდენი ნიჭიერი კაცი შეიწირა დუელმა.

გარდა ამისა კისლოვოდსკში გავიცანი ლიდა პაშენკო, რომელიც ჩემსავით ფრიადოსანია. ბევრი ვითამაშეთ, ვიმღერეთ და ვიხიარულეთ. მაგრამ მოახლოვდა სწავლის დღეები. 20 აგვისტოს ტფილისში ჩამოვედი. ეს რომ ამხანაგებმა გაიგეს, მაშინათვე მოვიდნენ ჩემს სანახავად და მეტად სასიხარულო ამბავი მომიტანეს; შარშან ცუდ შენობაში ვმეცადინეობდით, მაგრამ ახლა სასწავლო წლიდან ახალ შენობაში გადააქვთ ჩვენი სკოლა. მერე რა კარგია ეს შენობა.

სკოლა მზად არის... მეც მზად ვარ სამეცადინოდ. წიგნები, რვეულები და ერთი სიტყვით ყოველგვარი მოწყობილობა წინასწარ შევიძინე.

გუშინ წერილი მივწერე კისლოვოდსკში ამხ. ლიდია პაშენკოს. ახალ სასწავლო წელში მე მას ვიწვევ შეჯიბრებაში. ფრიადზე ვისწავლი- ვნახოთ, მაჯობებს თუ არა!

ნინო ვარძიელი

მე-49 სკოლის ფრიადოსანი

◇

სკოლა უყურადღებოდ

სოფელ გვაზაურის (წულუკიძის რაიონი) დაწყებითი სკოლის შენობა გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, მაგრამ მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით შეაკეთეს მხოლოდ პარტები და სკამები. სკოლის სახურავიდან წვიმა ჩამოდის, იატაკი დამპალი და დანგრეულია, ადამიანის გავლისას ოთახი ირყევა.

სკოლას წითელი კუთხეც აქვს მაგრამ მისი მუშაობა სრულებით არა ჩანს. სკოლას ერთ დროს ჰქონდა კედლის გაზეთი, ახლა მისი ჩამიჩუმიც არ ისმის, კედლებზე შპალიერი ჩამოფლეთილია.

სკოლას წინათ ჰქონდა შემოსავლიანი საუკეთესო ბაღი ყვავილებით, ნაძვის ხეებით, მაგნოლიებითა და ხეხილით. აქ ადგილობრივი მოსახლეობა უქმე დღეებში და თავისუფალ დროს სეირნობდა ხოლმე, მაგრამ მოუვლელობით ეს ბაღი გატიალებულია, ჭვავითა და ეკლიანი ბალახით არის სავსე.

გვაზაურის დაწყებით სკოლაში ასამდე მოწაფე სწავლობს. გასულ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელ დანელიას მოწაფეებისაგან სასწავლო ნივთებისა და წიგნებისათვის 600 მანეთამდე ფული აუკრეფია. მაგრამ დღემდე არც წიგნები ჩანს და არც ფული.

დღემდე არც კოლმეურნეობის გამგეობა დაინტერესებულა სკოლის კეთილმოწყობით.

დ. ჯღარკავა.

ტფილისის მე-7 საშუალო სკოლის მერვე კლასის მოწაფეები თულია შარაშენიძე და ქეთევან ხათშანიშვილი იწერენ თავიანთ სტაბილური სახელმძღვანელოების სიას.

მოუმზადებელი შეხვდნენ

(წერილების მიმოხილვა)

სასწავლო წელი დაიწყო. საქართველოს სკოლები აახმაურა ზაფხულის განმავლობაში დასვენებულმა ბავშვებმა. მეტი წილი ჩვენი სკოლებისა საუკეთესოდ მოემზადნენ მოწაფეთა შესახვედრად, მაგრამ მათ გვერდით ბევრია ისეთი სკოლა, სადაც მოწაფეობას არ დახვდა სწავლისათვის ნორმალური პირობები. სკოლები არ არის შეკეთებული, არ არის საკმარისი პარტები, სასწავლო ნივთები, ხელსაწყოები.

ჩვენი კორესპონდენტი გურჯაანის რაიონიდან ამხ. არ. ბეცაშვილი იწერება, სასწავლო წლისათვის მზადება თავიდანვე ცუდად დაიწყო. ეს იმიტომ, რომ განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. ჭყონია) ვერ შესძლო თავიდანვე სათავეში ჩასდგომოდა ამ საქმეს. მთელი რიგი სასოფლო საბჭოები (ჩუმლაყი, ველისციხე, კაჭრეთი და სხვ.) მოუმზადებელი შეხვდნენ სასწავლო წელს. სკოლების მეტი წილი კოლმეურნეობათა საწყობებად იყო გადაქცეული, ამის გამო ამ სკოლებში შეკეთების დაწყება და კეთილმოწყობა შეუძლებელი გახდა. ძველი გურჯაანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ყანდარელს სწავლის შეფერხება მაინც და მაინც არ აწუხებს. „სკოლაში საკოლმეურნეო ქონებაა მოთავსებული, გარეთ ხომ არ დავყრითო" — ამბობს ის და ჰგონია, რომ ამით თავიდან აიცილებს პასუხისმგებლობას. ასევე ცუდი მდგომარეობაა სოფ. ჩუმლაყში და უკანა მხარის სასოფლო საბჭოებში. სოფ. დარჩეთის დაწყებითი სკოლის შენობიდან პარტები და სხვა სასწავლო ნივთები გარეთ გაყარეს, სოფ. ნანიანის სკოლის შენობაში კოლმეურნეობის კანტორა მოათავსეს.

სკოლების მეტი წილი შეკეთებას საჭიროებდა, მაგრამ ეს გურჯაანის განათლების განყოფილების უფროსებს არ აწუხებდათ და გულდამშვიდებულად, უმოქმედოდ შეხვდნენ პირველი სექტემბრის დადგომას. გურჯაანის რაიონში არც ახალი სკოლების მშენებლობაა კარგ მდგომარეობაში. აქ 4 სკოლის შენობა უნდა აგებულიყო. აგება დაიწყეს, მაგრამ „უსახსრობის" გამო შეაჩერეს. ახლა ამოყვანილ კედლებს ქარი და წვიმა ანგრევს.

სოფ. ოზაანის დაწყებით სკოლის შეკეთებაზე გამგეს ამხ. ი. ზორავას არ უზრუნია. ამ სკოლის იატაკი დანგრეულია, ფანჯრის მინები ჩალეწილია.

ამხ. შ. ხიტირი გვწერს, რომ საქ. ა.ლ.კ.კ. ლანჩხუთის რაიკომმა „მსუბუქი კავალერიის" რეიდი ჩაატარა სკოლების სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შესამოწმებლად. აღმოჩნდა, რომ სოფ. ჭიანის არასრული საშუალო სკოლის შენობის აგება დაუშვებლად გაჭიანურებით. სკოლის შენობა 20 აგვისტოსათვის უნდა ყოფილიყო მზად. მაგრამ განსახკომმა სკოლის შენობის ასაგებად გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა დააგვიანებია. ამის გამო სკოლა 20 აგვისტოსთვის არ იყო მზად. ამას გარდა კლასები არ იყო დაკომპლექტებული, არ იყო საკმაო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი, კაბინეტები და სხვ.

ნოსირის სკოლა (ცხაკაიას რაიონი) მესამე წელია რაც დაქირავებულ შენობაშია მოთავსებული. აქ 1934 წელს დაიწყეს აგურის შენობის აგება. სკოლის სამშენებლო კომისიას ხელმძღვანელობს სკოლის გამგე ამხ. გედეონ კუპრეიშვილი, მაგრამ ის სათანადო ზომებს არ იღებს სკოლის შენობის დროზე მოსათავებლად — გვწერს ჩვენი კორესპონდენტი ამხ. ტერენტი ოდიშარია.

სოფ. ლიის (წალენჯიხის რაიონი) სკოლის შესახებ არა ერთხელ ყოფილა შენიშვნები ჩვენს პრესაში, მაგრამ არც განათლების განყოფილება და არც სოფლის საბჭო ამ სკოლის კეთილმოწყობისათვის არ ზრუნავენ. სკოლას აკლია ორი ოთახი, 20 პარტა, ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტები. უფრო უარესი მდგომარეობაა სოფ. ლიის დაწყებით სკოლებში. აქ სოფ. პალურის სკოლა დაქირავებულ შენობაშია მოთავსებული. სოფლის საბჭომ სახლის ქირის გადახდა ვერ შესძლო, ამიტომ სახლის პატრონმა სკოლის ნივთები გარეთ გაჰყარა, რაღა თქმა უნდა, — დასძენს კორესპონდენტი ამხ. გ. ზარქუა, — რომ ლიის სასოფლო საბჭოში შემავალ სკოლებში ნორმალური მუშაობის დაწყება შეუძლებელი იქნება.

ბევრ სხვა რაიონშიც გვაქვს ასეთი მდგომარეობა. ეს იცის განსახკომმაც. საჭიროა დამნაშავეებს პასუხი მოეთხოვოთ. ხოლო მდგომარეობის გამოსასწორებლად ახლავე უნდა იქნას მიღებული სასწრაფო ზომები.

პირველი ზარი

ქ. გოგიავა

სკოლის ეზოში წითელი, ყვითელი და ცისფერი ყვავილები ყვავის. დერეფნებიც მორთულია ყვავილებით. კედლები და იატაკი გაკრიალებულია და მოწაფეების ჟივილ-ხივილს მოელის. აქ, ამ უზარმაზარ დერეფანსა და საკლასო ოთახებში დღეს სრული სიჩუმეა, მაგრამ კიდევ რამდენიმე დღე და გულმხიარულ მოწაფეთა ყიჟინა გაახმიანებს აქაურობას. ახალი, მოწაფეური ცხოვრება მხიარულ ფრთებს გაშლის. რა კარგი და ბედნიერია მათი ცხოვრება! ახლა სოფლებში და აგარაკებში არიან, მაგრამ სიხარულისაგან ათრთოლებული გულით სკოლისაკენ მოიწევენ. ფიქრით აქ არიან, ამ გაკრიალებულ ოთახებში, ოცნებით დასტრიალებენ ამ მაგიდებს, ამ მერხებს, ფიზიკისა და ქიმიის ცდებისათვის უცნაურ ხელსაწყოებს. ტყუილად კი არ გვითხრა ცემის მზისაგან სახედამწვარმა გოგონამ, ფრიადოსანმა მარინე ერისთავმა, რომ მიყვარს სკოლა და სკოლისა და სწავლის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელიაო.

— ამ ზაფხულს ცემში ვისვენებდი, მაგრამ გულით სკოლისაკენ მოვიწევდი. — დიახ, მარინეს უყვარს სკოლა და სკოლასაც უყვარს იგი. მხოლოდ ჩვენი დიადი ქვეყნის, საბჭოეთის ბედნიერ ბავშვებს აქვთ უფლება სწავლის, ნიჭისა და უნარის გამოჩენის. ამიტომ არის, რომ ამ სკოლის კედლებს ამშვენებს ბავშვური ალტყინებით შესრულებული სურათები. გმირ ტელმანს სდევნიან თავის სამშობლოში. ფაშისტური გერმანიის სკოლებში ბავშვებს მისი პორტრეტის დახატვა კი არა, მისი სახელის ხსენებაც აკრძალული აქვთ. აქ კი, ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში ათასობით ბავშვებს ტელმანის ვაჟკაცური სახე გადააქვთ ტილოებზე და უმღერიან მას.

ამ ზაფხულში ტფილისის მესამე საცდელი სრული საშუალო სკოლის მოწაფეებს ბელადების მრავალი სურათი დაუხატავთ და მეცადინეობის დაწყებამდე კედლებზე გაკრავთ.

კიდევ ხუთიოდე დღე და ახალი სასწავლო წლის პირველი დღე, გაზაფხულის პირველი მერცხალივით შემოიჭრება სანიმუშოთ მომზადებულ სკოლაში. დარეკავს პირველი ზარი და პირველი სიხარულის ძლიერებით შეარხევს მოწაფეთა გულს.

მარინე და მისი ამხანაგები ძველი დროის მოწაფესავით კი არ სტირიან.

ვხედავდი მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნაცნობ ბაღებსაც ვეთხოვებოდი.
დაღონებული მწარედ ვტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.

ეს იყო წინათ, როცა სწავლა მშრომელთათვის აკრძალული იყო, როცა მეფის სკოლაში სწავლა ტანჯვა-წამება იყო, ჯოჯოხეთურ პირობებში მიმდინარეობდა იგი. მართალი იყო ის მოწაფე, როცა გულამოსკვნილი ამბობდა ამ სიტყვებს. მაგრამ წარსული ახლა ისე შორსაა, როგორც ცა დედამიწისგან. ახლა მოწაფე დაღონებული კი არ მიდის სკოლაში, არამედ უსაზღვრო სიხარულით ათრთოლებული, რადგან საბჭოთა სკოლა-ბედნიერების სკოლაა.

31 აგვისტოს მარინე ერისთავი აგარაკიდან ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე საყვარელ სკოლას მიაშურა. აქ ნახა მან თავისი ძვირფასი ამხანაგი ასმათი ზერძენიშვილი და ორივემ დირექტორი ინახულეს.

— შიგნით რომ შევედი, ვერ ვიცანი ჩვენი სკოლა, სრულიად გადაუკეთებიათ — მითხრა მარინემ. მართლაც, მესამე საცდელი სკოლა განახლებული და გალამაზებული ხვდება ახალ სასწავლო წელს.

აი, პირველი კლასის მაღალჭერიანი და ლამაზკედლებიანი ოთახი. პარკეტის იატაკი და სინათლიანი ფართო ფანჯრები. პატარა, ახალ მერხებს მოწაფეთა მოლოდინში თავები დაუხრიათ, თითქოს ეს უსულო საგნებიც ელოდებიან პირველი ზარის დარეკვას. ყველა საკლასო ოთახი წელს შეაკეთეს. ახალი მერხები, კათედრები, დაფები. ერთი სიტყვით ყველაფერი ახალია, მოვლილი და შენახული.

ყველაზე საინტერესოდ ქიმიის კაბინეტია მოწყობილი. ამ კაბინეტისათვის წელს სპეციალურად გააკეთებინეს ამერიკული სისტემის მაგიდები.

○

— ქიმიის ასეთი სამეცადინო ოთახი მთელ ტფილისში არ არის — მეუბნება მასწავლებელი ნიკო ჯაფარიძე. კაბინეტი წელს სანიმუშოდ შეუკეთებიათ. პატარა და შავი მაგიდები, ჰაერის გასაწმენდი შკაფი, შტატივები, სპირტნათურები, სინჯარები და სხვა ათასგვარი მოწყობილობა. ერთი სიტყვით, ქიმიის ნამდვილი საოსტატოა. აქ მოახდენენ ბავშვები ათასგვარ ცდას. ერთბაშად ორმოცდაორ მოწაფეს შეუძლია იმეცადინოს. ამას კლას-ლაბორატორია ეწოდება. იგი წელს მოაწყეს ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

— აი ეს პლაკატი ფრიადოსანმა კოლია ჯაშმა დაწერა — მეუბნება ჯაფარიძე და მიჩვენებს კედელზე წარწერას: — „ქიმია შეისწავლის ბუნებათა შინაგანი ბუნების ცვლას". შემდეგ მისდევს მსოფლიო გენიოსების განმარტებანი ქიმიისა. კოლია ჯაშის მიერ დაწერილი პლაკატები ამშვენებს ახლად შეთეთრებულ კედლებს. ნიკო ჯაფარიძე ჭაღარიანი მასწავლებელია, მაგრამ როცა ფრიადოსნებზე ვულაპარაკება ბავშვივით იცინის, უხარიან და ამაყობს იმით, რომ ნიჭიერი და ენერგიული მოწაფეები ჰყავს.

ახალ სასწავლო წელს ბიოლოგიის კაბინეტიც ახალი მოწყობილობით ხვდება. შეაღებ თუ არა კარს ამ უზარმაზარ ოთახში, უცბად შეკრთები — ფრთებგაშლილ მტაცებელ ფრინველთა ფიტულები შენსკენ მოფრინავენ. აქვეა ადამიანთა ჩონჩხები და აქვარიუმში წითელი თევზები.

○

წითელბანტიანი გოგონა მეგი დათეშიძე გუშინწინ ჩამოვიდა ქვიშხეთიდან. მოვიდა სკოლაში და ამხანაგები გადაკოცნა, იგი ენერგიული გოგონაა. 8 კლასი ფრიადზე დაამთავრა, მკერდს უმშვენებს სასწავლებლის ნიშანი „მესამე საცდელი სკოლა". გუშინ სახლში თავისი მაგიდა წესრიგში მოიყვანა, წიგნები დააწყო. იყიდა ფანქრები, მელანი და საწერკალამი. ახლა სწავლა რომ დაიწყება, ნახეთ როგორ ეკვეთის გაკვეთილს. მომზადებულია, უყვარს წიგნი და სწავლა ამიტომ ფრიადებიც წამოვა და წამოვა. ეს ზაფხული ტყუილ-უბრალოდ არ დაუკარგავს. მრავალი წიგნი წაიკითხა. ბევრი რამ შეისწავლა.

— ვერ აგიწერთ, როგორ გამეხარდა, როცა ქვიშხეთში ბიოლოგიის მასწავლებელი სოფიო ახმეტელი ვნახე. ის მესაუბრა მომავალი წლის სწავლაზე, მუშაობაზე და საერთოდ ჩვენი სკოლის თაობაზე, რომელიც სრულიად განახლებული და ყოველმხრივ მომზადებული დამხვდა გვეუბნება მეგი და ბიოლოგიის კარგად მოწყობილ კაბინეტს ათვალიერებს.

თუმცა სწავლა არ არის დაწყებული, მაგრამ სკოლაში მაინც ადრე მოსულან მოწაფეები და მასწავლებლებს შველიან სხვადასხვა კაბინეტების მოწყობაში.

მოწაფეებთან ერთად ივანე ყანჩელიც მოსულა. ამ მოხუც, პენსიონერ მასწავლებელს, თვალები სიხარულით უბრწყინავს, როცა უყურებს გულაჩქარებულ მოწაფეებს.

— ვერ გავჩერდი შინ, ახალ სასწავლო წლიდან ბავშვები უნდა ვამეცადინო — მეუბნება ივანე და იღიმება. მასაც მოუწყვია თავისი სახელოსნო. იგი შრომის, ტექნოლოგიის და ხაზვის მასწავლებელია.

მესამე საცდელ სკოლას საკუთარი რადიოდანადგარიც აქვს, რომლის საშუალებით ტარდება ადგილობრივი გადაცემა და კულტმასობრივი მუშაობა. ყველა ოთახსა და დერეფანში რადიოგადამცემები დადგმული დგანან და ელოდებიან მოწაფეთა მოსვლას, რომ ენა აიდგან.

სკოლის დირექტორმა ამხ. ნინო ძიძიგურმა და სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. დ. ფირცხალავამ იციან რა უნდათ მოწაფეებს, იციან როგორ უნდა მოაწყონ სასწავლებელი და ამიტომაა, რომ ყოველმხრივ მომზადებული ხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

— ჩვენ წელს დიდი სამუშაოები შევასრულეთ. სამოცდაათი ათას მანეთზე მეტი დავხარჯეთ რემონტზე და ახალი ინვენტარის შესაძენად — მეუბნება ამხ. ფირცხალავა — შარშან ჩვენი სკოლადამთავრებული მოწაფეები ყველანი უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს; წელსაც ასეთივე მდგომარეობაა. წელს ჩვენი სკოლა დაამთავრა 70 მოწაფემ, აქედან 22-მა ფრიადზე. ჩვენთან არ არის მასწავლებელთა დენადობა. განსაკუთრებით წელს მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლები გვყავს, რომლებმაც უკვე შეადგინეს თავიანთი გეგმები. სამუშაო საათები განაწილებულია. ასე რომ, 10 სექტემბერს პირველი ზარის დარეკვიდანვე დაიწყება ნორმალური მეცადინეობა. 8 სექტემბერს ვხსნით სპეციალურ კიოსკს, სადაც მოწაფეები შეიძენენ ახალ სასწავლო წლისათვის საჭირო წიგნებს.

ახლა ეზოში ამთავრებენ დიდი აუზის მშენებლობას, რომელშიაც იქნება წყლის მძლავრი შადრევანი. სწავლის დაწყების პირველ დღეს — 10 სექტემბერს ეს შადრევანი იფეთქებს.

◆

ბრიუსელი და ჟენევა

მშვიდობიანობის დაცვის კონგრესი

ბრიუსელი, 3 სექტემბერი. საღამოს ბრიუსელის ერთერთ ყველაზე დიდ შენობაში „ასი წლისთავის სასახლეში" შესდგება მშვიდობიანობის დაცვის საერთაშორისო კონგრესის საზეიმო გახსნა. კონგრესის გახსნაზე სიტყვებით გამოვლენ დამსწრე დელეგაციების ხელმძღვანელები — შვერნიკი (საბჭოთა კავშირი), ლორდი სესილი, ლორდი დიკინსონი, და ბეკერი (ინგლისი), პიერ კოტი და ჟუო (საფრანგეთი), პროფესორი ჟოლიო (ომის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგა ა. შ. შტატებში), ლუპე (რუმინეთი), პროფ. ვანი (ჩინეთი) და სხვ. კონგრესის გახსნისას, იმ შენობის თავზე, სადაც კონგრესია, იფრიალებს „მშვიდობიანობის ესკადრილია". კონგრესის მონაწილეთა საერთო რიცხვი 4,000 აჭარბებს.

ბრიუსელი, 3 სექტემბერი. კონგრესი გახსნა ვანდერველდემ, რომელიც მოკლედ მიესალმა კონგრესის წევრებს. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ლორდი სესილი, რომელმაც აღნიშნა, რომ კონგრესი შეკრებილია, პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად, რათა არ მოხდეს მშვიდობიანობის დარღვევა და არ გამეორდეს მსოფლიო სისხლისმღვრელი ომი. შემდეგ გამოვიდა პიერ კოტი, რომელსაც კონგრესმა თბილი შეხვედრა მოუწყო, ხოლო მის შემდეგ [illegible] ქვეყნების დელეგაციათა წარმომადგენლები ანბანის მიხედვით.

განსაკუთრებით თბილი შეხვედრა მოუწყეს კონგრესის წევრებმა ესპანეთის წარმომადგენელს და საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელს ამხ. შვერნიკს, რომელიც კონგრესზე წარმოადგენს საბჭოთა პროფკავშირებში დარაზმულ 27 მილიონ მშრომელს.

მშვიდობიანობის დაცვის ახალგაზრდათა საერთაშორისო კონგრესზე

ჟენევა, 3 სექტემბერი. მშვიდობიანობის დაცვის ახალგაზრდათა საერთაშორისო კონგრესის თავმჯდომარემ, დილის სხდომის გახსნისას კონგრესის წევრებს აცნობა საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლა ამხ. კოსარევის, ილინსკის (მოსკოვი), ვაინშტეინის (ლენინგრადი), მგელაძის (საქართველო), ავგუსტაიტისის, (ბელორუსია), კლიმკოვის (უკრაინა) და კრიპოვას (ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტი) შემადგენლობით.

კონგრესის წევრები მხურვალე ტაშით შეხვდნენ საბჭოთა დელეგაციის გამოჩენას და დელეგაციის წარმომადგენლის ამხ. კრიპოვას გამოსვლას. ამხ. კრიპოვა მიესალმა კონგრესს და აღნიშნა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია წარმოადგენს 4 მილიონ ლენინურ კომკავშირელს, 10 მილიონ ახალგაზრდა ფიზკულტურელს, 7 მილიონ მუშა-ახალგაზრდობას გაერთიანებულს პროფკავშირებში, 1,200.000 სტუდენტს და მრავალმილიონ და განთავისუფლებულ ქალს.

— საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი ახალგაზრდობა — სთქვა ამხ. კრიპოვამ, რომელიც იცავს მშვიდობიანობას და რომელსაც არ სურს სისხლისღვრა, ესალმება კონგრესის ორგანიზატორებს, პირადად კონგრესის პრეზიდენტს როლენს, პროფესორ რუისენსს და მთელ იმ ახალგაზრდობას, რომელთაც ამ კონგრესზე მყოფნი წარმოადგენენ. ჩვენი თაობის ისტორიული ამოცანაა ავითვისოთ დიდი კულტურული მემკვიდრეობა, განვავითაროთ კულტურა, რომელიც გვიანდერძა უწინარესმა თაობამ და ხელი შევუწყოთ კაცობრიობის ბედნიერ ცხოვრებას. ომი — კულტურულ ღირებულებათა განადგურებას ნიშნავს. ვინც კულტურის მომხრეა — ის ომის წინააღმდეგი უნდა იყოს. აღვუდგეთ წინ ბნელ ძალებს, ხელი შევუშალოთ მათ ძმათა სისხლისღვრის მოწყობაში, ქვეყნების დანგრევაში (მქუხარე ტაში).

ამხ. კრიპოვას მისალმების მოსმენის შემდეგ კონგრესი გადავიდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვაზე — მშვიდობიანობის საკითხი, რელიგიის თვალსაზრისით. ამ საკითხზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება — ციურიხის უნივერსიტეტის პროტესტანტული თეოლოგიის პროფესორის ბრუნერისა და კათოლიკური ჟურნალის რედაქტორის მუნიეს მოხსენებები, ორივე ორატორმა აღნიშნა, რომ მშვიდობიანობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში ქრისტიანულმა ახალგაზრდობამ მხარი უნდა დაუჭიროს სოციალისტურ და კომუნისტურ ახალგაზრდობას.

კონგრესმა მიიღო მისასალმებელი დეპეშები—ინგლისის პოლიტიკური მოღვაწის ლენსბერისაგან, გერმანელ მწერალთა კავშირისაგან პარიზში, პოლონეთში მყოფ [illegible] სტუდენტებისაგან, ფინეთიდან და სხვ.

ჟენევა, 3 სექტემბერი. მშვიდობიანობის დაცვის ახალგაზრდათა საერთაშორისო კონგრესის მუშაობა გადატანილია კომისიებში, სადაც ახალგაზრდათა წარმომადგენლები თავმჯდომარეობენ და მსჯელობენ. სხვადასხვა დელეგაციებს შემოაქვთ წინადადებები ერთა ლიგის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ინგლისის ახალგაზრდობის დელეგაციის წარმომადგენელმა ბეტი შალდს-კოლინზმა შემოიტანა 6 წინადადება, მათ შორის ერთი ითვალისწინებს შეიარაღებული ძალის გამოყენებას ერთა ლიგასთან, ევროპაში (ინგლისის და საბჭოთა კავშირის ჩათვლით) მშვიდობიანობის დასაცავად. საფრანგეთის ახალგაზრდათა დელეგაციის სახელით წინადადებები წარმოადგინეს მონმარშმა და გრანკონმა. ინგლისელი და ფრანგი დელეგატების წინადადებებს მხურვალე ტაშით შეხვდნენ. შემდეგ გამოვიდნენ ჩინეთის სტუდენტთა პარიზული ასოციაციის და ინდოეთის ახალგაზრდათა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

◇◇

საბჭოთა სამხედრო დელეგაცია საფრანგეთში

პარიზი, 3 სექტემბერი. გუშინ საბჭოთა სამხედრო დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობდა არმიის პირველი რანგის სარდალი იაკირი, დასტოვა პარიზი.

საფრანგეთში ყოფნის დროს დელეგაცია დაესწრო მთელ რიგ სამხედრო სწავლებას სხვადასხვა ბანაკებში, აგრეთვე საავიაციო მანევრებს და საჰაერო თავდაცვის მანევრებს.

თავისი წამოსვლის დღეს იაკირმა გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ ავიაციის მინისტრი პიერ კოტი, საფრანგეთის არმიის უმაღლესი თანამდებობის პირნი, აგრეთვე სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წარმომადგენლები.

იაკირმა მოკლე სიტყვაში მადლობა უძღვნა საფრანგეთის არმიასა და აგრეთვე გენერალურ შტაბს იმისათვის, რომ მათ შესაძლებლობა მისცეს მისიას დასწრებოდა მთელ რიგ საინტერესო სამხედრო სწავლებას.

იაკირმა აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის არმიათა და საჰაერო ფლოტთა მეგობრული ურთიერთობა მშვიდობიანობის ერთერთ ფაქტორად არსებით დასაყრდენს წარმოადგენს.

საპასუხო სიტყვაში პიერ კოტი შეჩერდა საფრანგეთის არმიასა და საბჭოთა კავშირის არმიას შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავების უდიდეს მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობამ არ შეიძლება გამოიწვიოს ვისიმე შეშფოთება, ვინაიდან ეს თანამშრომლობა მიმართულია ერთადერთი მიზნისაკენ—მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ. მინისტრი მიესალმა საბჭოთა სამხედრო დელეგაციას, აგრეთვე საფრანგეთის მისიას, რომელიც ამ დღეებში გენერალ შვაისგუტის მეთაურობით წითელ არმიის მანევრებზე მიემგზავრება (საქინ).

ტფილისში დაიწყო საკავშირო საკოლმეურნეო შეჯიბრება ფეხბურთში.
სურათზე: მარცხნივ — ჩრდილო-კავკასიის უძლიერესი გუნდი (სოფელი პეტროვსკი, კოლმეურნეობა „პრავდა"). მარჯვნივ—კოლმეურნეობის გუნდი თამაშის დროს.

ტფილისის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკები

საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე

გუშინ, 4 სექტემბერს, საქართველოს მხატვართა გამოფენა — „ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის", დაათვალიერეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, უნივერსიტეტის რექტორის პროფ. კ. ორაგველიძის ხელმძღვანელობით. გამოფენის დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა — კ. კეკელიძემ, გ. წერეთელმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ ივ. ბერიტაშვილმა, დ. უზნაძემ, გ. ახვლედიანმა, ი. მოსეშვილმა, ი. სურგულაძემ, აკ. შანიძემ, შ. ნუცუბიძემ, ვ. ბერიძემ, მ. კოგიბერიძემ, ლ. მელიქსეთ-ბეგმა, მ. [illegible], ლ. გოკიელმა, შ. ცინცაძემ ციციშვილმა, გ. ნანეიშვილმა, ვაჩეიშვილმა, ნ. ქოიავამ, ალ. ჯავახიშვილმა, დოცენტებმა—კ. კაპანელმა, ჯანაშიამ, მრევლიშვილმა და სხვ. უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. კ. ორაგველიძემ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა, რომ უნივერსიტეტის ადგილობრივი ორგანიზაციების დადგენილებით სექტემბრის განმავლობაში აღნიშნულ გამოფენას დაათვალიერებენ უნივერსიტეტში მომუშავე ყველა მეცნიერ მუშაკი და მთელი სტუდენტობა, რომელთა რიცხვიც 5.000 კაცს აღემატება. ამ დღეებში გამოფენას დაათვალიერებს უნივერსიტეტის პროფესორთა მეორე ჯგუფი.

გამოფენის დათვალიერებამ და იქ წარმოდგენილი ნამუშევრების ნახვამ პროფესორებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ზოგ მათგანს ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

საუბარი მეცნიერ მუშაკებთან

პროფ. ივ. ბერიტაშვილი.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

— ჩვენ მხატვრობის საუცხოო ოსტატები გვყოლიან. მე არ მოველოდი, თუ ასეთ დიდ და წარუშლელ შთაბეჭდილებას დასტოვებდა ჩემზე ეს გამოფენა. აქ წარმოდგენილ ნამუშევრებში შესანიშნავად არის ასახული დიდი ბელადის ზრდისა და გამოწრთობის მომენტები, განსაკუთრებით მომწონს ის ნამუშევრები, სადაც მოცემულია სურათი ახალგაზრდა, მგზნებარე სტალინის შეჯახებისა მენშევიკებთან.

გასახარელია, რომ უკვე ცნობილი და დამსახურებული მხატვრების გვერდით, დღეს, ამ გამოფენაზე, ვნახეთ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების მიერ შესანიშნავად შესრულებული მხატვრული ტილოები.

პროფ. შალვა ნუცუბიძე.

— ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავისი ისტორიული ნაშრომით, რომელიც მან შარშან გამოაქვეყნა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ, იმდენად მისცა ჩვენს მხატვრებს შეჭრილიყვნენ ისტორიულ-რევოლუციურ ამბავთა სიღრმეში და გადმოეცათ დიდი ბელადის როლი განვლილ რევოლუციურ მოძრაობაში. ეს ამოცანა შესანიშნავად არის დაძლეული. გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები ყურადღებას იპყრობენ თავისი შინაარსიანობით და დინამიკურობით. ამ დინამიზმის ცენტრალური ფიგურა ყველგან სტალინია. საერთოდ, უნდა ითქვას, ეს გამოფენა შესანიშნავი ილუსტრაციაა ამხ. ლავრენტი ბერიას ყველასათვის ცნობილი ნაშრომისა. ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ხელახლა გამოსცენ ამხ. ბერიას ნაშრომი „ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის" და დაასურათონ იგი გამოფენაზე წარმოდგენილი სურათებით.

მე პირადად ძალიან მომწონს მხატვარ ვეფხვაძის ნამუშევარი „მიტინგი საშა წულუკიძის დაკრძალვისას". პირადი მონაწილე ვარ ამ პროცესიისა და უნდა აღვნიშნო, რომ მხატვარს საუცხოოდ აუღია ალღო და მშვენივრად გადმოუცია მაშინ მომხდარი ამბავი—კობა ჯუღაშვილის მგზნებარე გამოსვლა სოფ. გუბში, ამხანაგისა და თანამებრძოლის — საშა წულუკიძის ღია კუბოსთან.

პროფ. კორნ. კეკელიძე.

— სასიქადულო საქმე შეუსრულებიათ ჩვენს მხატვრებს, რომელთაც ფართო შინაარსიან მხატვრულ ტილოებზე გადმოუციათ ხალხთა გენიალური ბელადის —სტალინის მოღვაწეობის სხვადასხვა ეპიზოდები. ბევრი ჩვენთაგანი პირადი მომსწრეა იმ ამბებისა, რომელთა სურათიც აქ ვნახეთ. მე არ მგონია ჩვენ შორის იყოს ვინმე ისეთი, რომელსაც მოკრძალება და უღრმესი პატივისცემა არ აღეძრას იმ ადამიანისადმი, ვინც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ემსახურება მშრომელთა ინტერესებს, ვინც შექმნა ბედნიერი და ლამაზი ცხოვრება მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე. ამხ. სტალინის როლი განვლილ რევოლუციურ ბრძოლებში ჩვენს მხატვრებს საუცხოოდ აქვთ გადმოცემული.

მე განსაკუთრებით მომწონს ის სურათები, სადაც სტალინის ბავშვობის წლებია გადმოცემული. ამ სურათთა ავტორებს მაღალი ოსტატობით [illegible] მე უფროსი სტალინის სკოლის ამხანაგი ვარ და ამ გამოფენის დათვალიერებისას აღვიდგინე მეხსიერებაში იმ დროინდელი ბავშვების მდგომარეობა. შესანიშნავი გამოფენაა!

◇◇

კომბინირებული გადასვლის მონაწილეთა მიღება

საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტში

მოსკოვი, 4 სექტემბერი. (ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან) 2 სექტემბერს ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კომბინირებული გადასვლის — ტფილისი-მოსკოვი, მონაწილენი საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტები, მიიღო ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ლუკიანოვმა. გადასვლის მონაწილეებმა უამბეს ამხ. ლუკიანოვს ამ ძნელი მოგზაურობის ცალკე ეპიზოდები. მათ გამოსთქვეს მწუხარება, რომ უამინდობის გამო ვერ შეძლეს სერპუხოვოდან მოსკოვში თვითმფრინავით ჩამოსვლა და პარაშუტებით გადმოხტომა.

ამხ. ლუკიანოვმა მიულოცა გადასვლის მონაწილეებს დაწყებული საქმის — ტფილისიდან მოსკოვამდე გადასვლის წარმატებით დამთავრება და შეიტანა წინადადება, რომ საქართველოს ფიზკულტურელების ეს ახალი მიღწევა აღრიცხოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა, დასასრულ, ამხ. ლუკიანოვმა სთხოვა გადასვლის მონაწილეებს, გადასცენ საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის სალამი საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტებს.

◇ ◇ ◇

საგზაო კომიტეტის პლენუმი

დღეს, 5 სექტემბერს ტფილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში გაიხსნება საგზაო კომიტეტის მე-8 პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგშია: გაცდენებთან ბრძოლა დროებით შრომისუნარდაკარგვის და ტრავმატიზმის შემთხვევებში; კულტმასობრივი მუშაობა ა.-კ. რკინიგზაზე და სწავლის მიმდინარეობა ტექმინიმუმის მიხედვით.

ახალი სახლი

ა.-კ. რკინიგზის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის.

ტფილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზე, გზის სამმართველოს მახლობლად აიგეს ხუთსართულიანი სახლი ა.-კ. რკინიგზის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის. სახლში 30 სამოთახიანი ბინაა ყოველგვარი მოწყობილობით, სამზარეულოთი, აბაზანებით, შხაპებით და სხვ.

სახლის ქვემო სართულში მოთავსდება მაღაზიები.

უახლოეს დროში სახლი საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული.

სახლის აგებისას გათვალისწინებული იყო ყველა პირობა ბინებში ხმაურობის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ სართულშორისი გადახურვები რკინაბეტონისაა და ამის გამო ერთი სართულიდან მეორეში ხმა არ გადის.

◇

შემთხვევები

უბედური შემთხვევა. მარის ქუჩაზე გაჩერებულ ტრამვაის ვაგონზე შეხტომისას ვაგონქვეშ მოჰყვა 12 წლის ბავშვი გ. მ[illegible]. ვაგონმა ბავშვს ორივე ფეხი მოსწყვიტა.

ღია წერილი

ხაშურის რაიაღმასკომისა და მის განათლების განყოფილებას.

1935 წ. 6 ნოემბერს საქ. სახკომსაბჭომ დაადგინა (№ 1329) — [illegible] სოფ. [illegible] სრული საშუალო სკოლად და გაიხსნას მე-8 კლასი.

თქვენ ამ სკოლას მე-8 კლასი არ გაუხსენით, ეს უფლება ხაშურის სკოლისათვის გამოიყენეთ, სამზადისის გეგმით გათვალისწინებული 5.260 მანეთიდან რუისის სკოლას კაპიკი არ მისცემია.

მაშინ ადგილობრივი ძალების თაოსნობით სოფლის საბჭომ (თავმჯდომარე რ. ცქიტიშვილი) მოიწვია [illegible] მთავრობის მიერ სოფლისათვის მინიჭებული უფლება და გაეხსნა სკოლაში მე-8 კლასი. მას გამოეხმაურნენ ადგილობრივი კოლმეურნეობანი (თ-რე მ. ქეთიხაშვილი, რაზმაძე და სხვ.). საბჭოს თავისი შენობა სკოლას დაუთმო, კოლმეურნეობებმა გამოჰყვეს ბრიგადები და ორი კვირის განმავლობაში გადააკეთეს საბჭოს შენობა, შეაკეთეს ძველი შენობაც, დაამზადეს 30 სრულიად ახალი პარტა და სხვ.

თქვენ იმის ნაცვლად, რომ ახლა მაინც ჩასდგომოდით გაძლიერებულ საქმეს სათავეში, ყოველგვარად უშლით ხელს ამ სოფელში მე-8 კლასის გახსნას, გინდათ მისი უფლება ახლა სოფ. ქარელს მიანიჭოთ.

გაუგებარია თქვენი მოსაზრება. თუ ხაშურისა და ქარელისათვის ასეთ საჭიროებას ხედავთ, სად იყავით აქამდე? რატომ თავის დროზე არ დასვით ამის შესახებ საკითხი სათანადო ორგანოებში? რად უშლით ხელს ამ დიდი სოფლის (800 კომლია!) ინიციატივას, რომელიც, კარგად მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ჩამორჩენილია კულტურულად.

მოსწავლეებს ისევ უკან მიაქვთ სკოლაში შეტანილი განცხადებანი!

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მე-8 კლასი გაიხსნას იმ სოფელში, რომელსაც ამის უფლება მთავრობამ მისცა.

რუისელების ჯგუფი.

◇

მხატვრული გუნდი

სახ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრასთან არსდება მხატვრული ნარევი გუნდი. გუნდის მიზანია შეისწავლოს როგორც ქართული, ისე რუსულ-ევროპული საგუნდო ლიტერატურა. გუნდის წევრები წარჩინების მიხედვით შეიძლება მომზადდნენ გუნდის მომღერლებად და აგრეთვე გუნდის ხელმძღვანელებად. საჭიროა მუსიკალური სმენა და გუნდისათვის შესაფერი ხმა.

განცხადებები მიიღება სახ. კონსერვატორიაში სექტემბრის 7-დან 25-მდე.

□

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „კონტრრევოლუციური ტროცკიზმის გზა—გამცემლობისა და ღალატის გზა" —8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ფაშიზმი ფინანსური კაპიტალის ტერორისტული დიქტატურაა"—8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი—კონსულტაცია საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ სკოლათა პროპაგანდისტებისათვის ამხ. ლ. ბერიას მიერ საქართ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაზე: „ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის"—8 საათზე.

ლკკ კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია კომკავშირის პროპაგანდისტებისა და აქტივისათვის საკითხზე: „ბურჟუაზიული და საბჭოთა დემოკრატია"—8 საათზე.

○

— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი იუწყება, რომ 7 სექტემბერს პარტგანათლების სკოლებსა და წრეებში დამუშავდება ამხ. ლ. ბერიას მოხსენება —„ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისათვის".

სემინარი ამავე თემაზე შესდგება 5 სექტემბერს საღამოს 7 საათზე მე-14 შრომის სკოლის შენობაში (მახარაძის ქ. № 4).

საკურორტო ტყეების ზონა

ტფილისის ირგვლივ

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ქალაქის მიდამოებში მდებარე ტყეების საკურორტო მნიშვნელობის ტყეებად გამოცხადებისა და ტფილისის ირგვლივ დაცვითი ზონის გამოცხადების შესახებ.

საკურორტო მნიშვნელობის ტყეებად გამოცხადებულია — მარტყოფის, საგურამოს, გლდანის, მცხეთის, ძეგვის და პრიუტის ტყეები რომლებიც გადაეცა ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებას. ეს ტყეები შედიან ტფილისის რაიონში—საკურორტო რეჟიმის სამთო დაცვის ზონაში.

მომავალ, 1937 წელს, საკურორტო ტყეების აღსადგენად და მოსაწყობად ტფილისის საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას გათვალისწინებული აქვს 1.600.000 მანეთის დახარჯვა. საკურორტო მნიშვნელობის ტყეებად გამოცხადებულია 46.758 ჰექტარი ფართობი.

ამჟამად ამ ტყეების მოსაწყობად მუშაობს სპეციალური კომისია, ტფილისის საბჭოს წარმომადგენლის ამხ. ელისაბედაშვილის თავმჯდომარეობით.

◇

ტფილისის სამედიცინო ინსტიტუტში

1936-37 სასწავლო წელში სამკურნალო ფაკულტ. ჩარიცხულთა დამატებითი სია.

გოლიაძე ელენე სერგოს-ასული, ონიკაძე ანნა ამბროსის-ასული, ბოკუჩავა ლადო ტერენტის-ძე, დოლიძე გიორგი ივანეს-ძე, მჭედლიშვილი ბესარიონ სოლომონის-ძე, წამალაიშვილი თინა ვალერიანის-ასული, სოკოლოვა მერი ვიქტორის-ასული, ყანდაშვილი მიხეილ გიორგის-ძე, ბეგიროღლი აბბედ ისმაილის-ძე, [illegible] მიტროფანის-ძე, შალიკაშვილი თამარ სოლომონის-ასული, ყიფიანი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე, ჩიხლაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე, [illegible], კარგარეთელი თინა პეტრეს-ასული, [illegible] გრიგოლ რაფიელის-ძე, კონსტანტინოვა ზინაიდა [illegible]-ასული, [illegible], ნინა პეტრეს-ასული, [illegible] გიორგი [illegible], [illegible] ალექსანდრე ილარიონის-ძე, [illegible] გიორგი [illegible], [illegible] სტეფანეს-ასული, [illegible] გიორგი დავითის-ძე, [illegible] გიგოს-ასული, დურგლიშვილი გრიგოლ ალექსის-ძე, წერეთელი თამარ [illegible]-ასული, კაპანაძე მიხეილ ამბაკოს-ძე, კოპალიანი ალექსანდრე ერმილეს-ძე, [illegible] ნიკოლოზის-ასული, [illegible] ნიკოლოზის-ასული, სტურუა დავით ნიკოს-ძე.

[illegible]	
ოქტომბერი 6-30 8.30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ცირკი" ლ. ორლოვას მონაწილეობით.
დამკვრელი სახ. [illegible] [illegible]	ხმოვ. [illegible] „[illegible]"
კომკავშირელი სახელ. 7-15, 9, 10.45, სახ. 8-30, 10-1	ახალი ხმოვ. ფილმები 1) სტალინურ მარშრუტით, 2) ახალგაზრდობა, 3) მოგზაურობის [illegible]
რ. ლუქსემბურგის სახ. 6.45, 8.45, 10.45	დადგმა № 2 კვირა „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ"
სახალხ. „ეთერი" 8.30, 10.30	ხმოვ. ამერიკ. მხატვრ. ფილმი „ახალი დროება" ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით.
ფ. კომ. სახ. 8-30, 10-30	
კომინტერნი სახელ. 8.30, 10-30	მხატვრული ფილმი [illegible]

საქართველოს ტყემარაგგასაღების სარეწაო ხე-ტყის დამზადება

რეგისტრირებულია ახალციხის რაიფინგანში № 8 1936 წ. 15 მაისს.
საქმიანობის საგანი: სარეწაო ხე-ტყის და საწვავი მასალის დამზადება.
საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის ახალციხის განყ-ში № 93-22.
მისამართი: ქ. ახალციხე, [illegible] ქ. № 25.
35 თავმჯდომარე ბეშიძე. მთ. ბუღალტერი წიწკალაძე.

გურჯაანის რაიონის სახ. ხბ. აღმასრულებელი
ვ. მ[illegible]დლიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 8 სექტემბერს ქ. გურჯაანში დღის 2 საათზე სტალინის სახ. ქ. № 6-ში

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება გურჯაანის საღვ. კოოპ. ამხანაგობის კუთვნილი ორსართულიანი აგურის სახლი თუნუქით დახურული, 16 ოთახით და ორი სამზარეულოთი. ორსართულიანი აგურის სახლი, თუნუქით დახურული 12 ოთახით და ოთხი სამზარეულოთი, სადურგლო სახელოსნო და [illegible] ფიცრული [illegible] დახურული ქონება სულ შეფასებულია 15400 მანეთად, იყიდება ტფილისის ბინათ-კავშირის [illegible] თანახმად საქ. არბიტრაჟის მიერ გაცემული ბრძანებისა № 1/1372 ს 3 დეკემბრის 1935 წ. თუ პირველი ვაჭრობა არ შედგა, მეორე ვაჭრობით გაიყიდება იქვე 13 სექტემბერს ა. წ. დღის 2 საათზე საჯარო ვაჭრობით. დროს დაცული იქნება სამოქ. სამ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები.

საქართველოს მონ-ამხანაგობათა კავშირის („მონკავშირის") გამგეობის 1935 საანგარიშო წლის

ბალანსი (1936 წ. 1 იანვრისათვის)

აქტივი

№№ რიგ.	ანგ. ჯგუფ. დასახელება	თანხა მანეთი	თანხა კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	400.698	91
2	კაპიტალური დაბანდებანი	177 006	77
3	საწარმოო მარაგი	31.027	04
4	წარმოება და გადამუშავება	32.783	58
5	სამრეწველო სისტემის პროდუქცია და საქონელი	329.540	13
6	გადაგზავნილი საქონელი და შეს. სამუშ.	207 200	—
7	ფულადი საშუალებანი	92.823	09
8	საშუალებანი საანგარიშსწორებო ანგარიშებით	291.951	16
9	მომავალი პერიოდების ხარჯები	[illegible]1.857	38
	ბალანსი	1.594.888	31

პასივი

№№ რიგ.	ანგ. ჯგუფ. დასახელება	თანხა მანეთი	თანხა კაპ.
1	ფონდები	1.025.605	65
2	მიზნობრივი რეზერვები	9.989	27
3	მოკლევადიანი კრედიტები	355.159	16
4	საანგარიშსწორებო ანგარიშებით	155.477	65
5	საანგარიშო წლის დაგროვებანი	48.656	58
	ბალანსი	1.594.888	31

წლიური ანგარიში დამტკიცებულია საქ. ფინსახკომის მიერ 1936 წ. 19 აპრილს.

480 „მონკავშირის" გამგეობა.

ბალანსი

საქ. ადგ. მრეწვ. სახკომისარიატის სამტრედიის ქაღ-სალები ქარხნის 1936 წლის 1-ლი იანვრისათვის და მისი შედარება 1935 წლის 1-ლი იანვრის ბალანსის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წლის 1-ლ იანვრისათვის	1936 წლის 1-ლ იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა.		
ა) ძირითადი საშუალებანი მომქმედი	742005-24	828590-54
ბ) ძირითადი საშუალებანი უმოქმედო	20798-23	20812-08
სულ	762803-47	849402-6
2. ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	88869-50	460031-51
3. საწარმოო მარაგი საწყობსა და გზაში	1778086-20	2031112-2
4. საქონელი და მზა ნაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გადაცემული და [illegible]	845827-30	748367-08
5. ფულადი საშუალებანი	1541-36	8187-7
6. დებიტორები	17372-50	212451-02
7. მომავალი პერიოდის ხარჯები	34881-37	64884-78
8. გატანილი საშუალებანი	113041-44	52650-02
9. შედეგი		
ა) ზარალი საანგარიშგებო წლისა	406990-91	
ბალანსი	4064414-05	442[illegible]036-97

პასივი	1935 წლის 1-ლ იანვრისათვის	1936 წლის 1-ლ იანვრისათვის
1. საწესდებო ფონდი	837346-96	1282183-61
2. სპეცფონდები	75070-81	75070-81
3. რეზერვები	46729-49	40602-42
4. ანგარიშსწორება კაპიტ. მშენებლობასთან		3285-81
5. მოკლევადიანი (სახ. ბანკის) კრედიტი	2760235-48	2417931-08
6. კრედიტორები	295081-32	308686-78
7. მომავალი პერიოდის შემოსავალი		3.00--
8. შედეგი:		
ა) მოგება საანგარიშგებო წლისა		291276-51
ბალანსი	4064414-05	44[illegible]2036-97

დირექტორი: ს. გერაძე. მთ. ბუღალტერი: ა. გელეიშვილი.

ეს ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისარიატის სპეცკომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისრის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1572 საქ. ადგ. მრეწვ. სახკომ. მთ. ბუღალტერი: პლ. ჯანელიძე.

ექიმი ი. [illegible]
სიფილისი, ვენერიული და კანის [illegible]
მიღება დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
[illegible] ქ. № 72

მოქალაქეთა საყურადღებოდ

უმაღლესი ორგანოების დადგენილების და საქ. კოოპინკავშირის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ინვ. არტ. „ავანგარდმა" გახსნა ძველი ტანსაცმლის შემსყიდველ-შემკეთებელი პუნქტები:

[illegible] მოედანზე, [illegible] ქ. № 24 და [illegible] ბაზარში. პუნქტები ყიდულობენ, აწარმოებენ შეკეთებას და ჰყიდიან ყოველგვარ ძველ ტანსაცმელს.

არტელ „ავანგარდის" გამგეობა.

3—2 712 ქ. ტფილისი, [illegible] ქ. № 15.

ახალციხის მეტყავეთა არტელი ფ. მახარაძის სახელობისა

რეგისტრირებულია ახალციხის რაიფინგანში № 5 1933 წ. 10 მარტს.
საქმიანობის საგანი: ევროპული და აზიური ფეხსაცმლის შეკერვა, შეკეთება, რთული ტყავის წარმოება (დაბაღანა). სასარაჯო ნაწარმის გამოშვება და შეკეთება.
საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკის ახალციხის განყ-ში № 105—2.
მისამართი: ქ. ახალციხე, კოოპერატიული ქუჩა № 4. ტელეფონი № 80.
1002 თავმჯდომარე ოვაკიმიანი. მთ. ბუღალტერი პანკრატოვი.

ლიმონტრესტის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ტრესტის საქმეთა მმართველს ამხ. პეტრე ოგანეზოვს მისი მამის

ზაქარია პეტრეს-ძე ოგანეზოვის

გარდაცვალების გამო. 15865

საქ. სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე კურსის სტუდენტის

ამხ. აპოლონ კონსტანტინეს-ძე ცინცაძის

გარდაცვალებას. 15897

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად

„სოიუზრასტირმასლოსბიტის" ამიერ-კავკასიის კანტორა გადაკეთებულია „სოიუზრასტირმასლოსბიტის" საქართველოს რესპუბლიკურ კანტორად

ადგილმდებარეობა ქ. ტფილისი, კიროვის, 9.

კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის სისტემაში შემავალი ცხიმის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის ყველა საკითხზე (სამეურნეო საპონი, ტუალეტის საპონი და კარტოფილის სახამებელი) [illegible] უნდა მიმართონ ხსენებულ კანტორას.

„სოიუზრასტირმასლოსბიტის" საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ბოიკო.

1534

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ივანე, ივლიტა, კალაძეები შვილებით: კოლიათი, ქეთოთი, მიშათი, რძლებით: ვერიკოთი, ტატიანათი იუწყებიან საყვარელი

კონსტანტინე (კოწია) ივანეს-ძე კალაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კულაშში 6 სექტემბერს. 15907

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ინსტიტუტის თანამშრომლის

სერგო ნიკოლოზის-ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 5 სექტემბერს 5 საათზე. 15909.

დამწუხრებული დედა ეფროსინე შვილებით ბორიათი, მედიკოთი, ძმები დიმიტრი, კოწია ალექსანდრიძეები ოჯახით იუწყებიან ძვირფასი

ჟორა (გიორგი) ვიქტორის-ძე ალექსანდრიას

გარდაცვალებას, გამოსვენება ხვალ 5 საათზე, ლენინგრადის 3, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

შვილები: ვიქტორ, კატო, სოფიო, საშე ელისაბარ მეგრელიძე, რძალი ლიზა, შვილიშვილები: რევაზ, ანტონ, ჟორა, ვალოდია ფირცხალაიშვილი იუწყებიან

კესა ნიკოლოზის-ასული ფანტურიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 სექტემბერს ატენში. 15908

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—8018